პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

1944-2019

თბილისი

2019

UDC(უაკ) 061.62:33(479.22)

პ-121

წიგნი ეძღვნება პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 75-ე წლისთავს. იგი მოგვითხრობს ინსტიტუტის სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობისა და მისი თანამშრომლების შესახებ.

რედაქტორი

რამაზ აბესაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი პირი

ზურაბ წერეთელი

ლიტერატურული რედაქტორი

სესილი ხანჯალაძე

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. 2019

ISBN 978-9941-13-355-8

სახელოვანი 75 წელი[1]

ეკონომიკური მეცნიერების ფლაგმანი თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი იუბილარია. მას დაარსებიდან 75 წელი შეუსრულდა. ეს გზა მან, წინააღმდეგობების მიუხედავად, ღირსეულად განვლო და ახლაც წარმატებით აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელსაც მისმა პირველმა თაობამ ჩაუყარა საფუძველი, ინსტიტუტის დამაარსებლისა და პირველი დირექტორის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეთაურობით.

საშტატო განრიგი საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებულმა საშტატო კომისიამ 1944 წლის 15 აპრილს დაამტკიცა, მუშაობას კი ინსტიტუტი ფაქტობრივად მაისიდან შეუდგა. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება #734 – „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ეკონომიკის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ“ მიღებულ იქნა 1944 წლის 29 ივნისს, რომლის მიხედვითაც, ინსტიტუტის შტატი განისაზღვრა 16 ერთეულით (დირექტორი, სწავლული მდივანი, უფროსი მეცნიერი თანამშომელი, სამი სექტორის გამგე, სამ-სამი უფროსი და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიბლიოთეკის გამგე და ოთხი ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალი).

მაშასადამე, ინსტიტუტი ოფიციალურად 1944 წლის 29 ივნისს დაფუძნდა. სწორედ ამიტომაც, 2009 წელს ინსტიტუტის დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, 29 ივნისი ინსტიტუტის **დაარსების დღედ გამოცხადდა** და მას შემდეგ ამ დღეს არა ერთი ღონისძიება ეძღვნება. ამის დასტურია თვით ეს წიგნი.

---

[1] პუბლიკაცია წარმოადგენს წიგნის: „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 1944–2014“ გაგრძელებას. თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2014.

ინსტიტუტის პირველი მეცნიერი თანამშრომლები იყვნენ: პროფ. **პაატა გუგუშვილი** (დირექტორი, განყოფილების გამგე), **აკაკი კაკაბაძე** (სწავლული მდივანი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ნიკოლოზ იაშვილი** (სექტორის გამგე), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **იოსებ ბაჯაძე** (სექტორის გამგე), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ივანე ჯაში** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. **ლევან ასათიანი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ლუარსაბ კარბელაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ნიკოლოზ ტყეშელაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ნიკანდრო ჯაკობია** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), **შურა მარგველაშვილი** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ია ყიფშიძე** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), **მარი კაპანელი** (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი). შემდეგ უახლოეს წლებში (1945-1950) ინსტიტუტში მუშაობას იწყებენ: **ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, ვალერიან მელქაძე, სერგი ბერაძე, ვალერიან ბახტაძე, კირილე ღოღობერიძე, მიხეილ გველესიანი, მიხეილ კახეთელიძე, ვლადიმერ პაპავა, ნიკო დგებუაძე, დიმიტრი ქორიძე, ანდრო ფაცურია, ნიჟა ხურციძე, რაფიელ ხარბედია, ბექირბი ხასია, აპოლონ ნუცუბიძე, მამულო კეკელიძე, ქეთევან დადიანი, თამარ ლაბაძე.**

ინსტიტუტის პირველ სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ: პროფესორი **პაატა გუგუშვილი** (ინსტიტუტის დირექტორი), აკადემიკოსი **სიმონ ჯანაშია,** აკადემიკოსი **ნიკო კეცხოველი**, პროფესორები: **ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გეხტმანი** და **ნიკოლოზ ქოიავა**, დოცენტები: **აკაკი კაკაბაძე** (ინსტიტუტის სწავლული მდივანი), **იოსებ ბაჯაძე, ნიკო იაშვილი, ივანე ჯაში, ლუარსაბ კარბელაშვილი, ნიკოლოზ ტყეშელაშვილი, ირაკლი მიქელაძე**, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი **კონსტანტინე ციმაკურიძე**, სტატისტიკის სამმართველოს უფროსი **გ. ფერაძე**, მიწსახკომის საკოლმეურნეო განყოფილების უფროსი, დოცენტი **შ. ჭელიძე.**

* * *

მართალია, ინსტიტუტის დაარსებასა და მის შემდგომ განვითარებაში ყველა მისმა პირველდამფუძნებელმა შეიტანა დიდი წვლილი, მაგრამ ამ მხრივ, მაინც, ფასდაუდებელია აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** დამსახურება.

იმ დროისათვის ბატონი პაატა უკვე სახელმოხვეჭილი პროფესორი იყო, იგი დიდ ინიციატივას იჩენდა საქართველოში ეკონომიკის ინსტიტუტის დასაარსებლად და მთავრობამ სწორედ მას დაავალა ინსტიტუტის ფორმირების ორგანიზება, რაც მან პირნათლად შეასრულა. თავის გარშემო შემოიკრიბა მეცნიერ ეკონომისტთა საუკეთესო ნაწილი, სწორად განსაზღვრა ინსტიტუტის სტრუქტურა და სამუშაო თემატიკა და რითაც მას განვითარების სწორი მიმართულება მისცა.

ბატონმა პაატამ თავისი პიროვნული თვისებებით, დაუღალავი, მრავალმხრივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობით განაპირობა ინსტიტუტის დიდი ავტორიტეტი და მისი ფასდაუდებელი როლი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში.

* * *

გარკვეულ პერიოდამდე ინსტიტუტში არსებობდა სამი სამეცნიერო დანაყოფი: სოფლის მეურნეობის სექტორი (პროფესორი **ნიკო იაშვილი**), მრეწველობის ეკონომიკის სექტორი (დოც. **იოსებ ბაჯაძე**) და სახალხო მეურნეობის ისტორიის სექტორი (პროფესორი **პაატა გუგუშვილი**).

ინსტიტუტში სხვადასხვა დროს ეკონომიკის განხრით ფუნქციონირებდა შემდეგი განყოფილებები: სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილება (გამგეები: ემდ, პროფ. **ნიკო იაშვილი,** ემდ, პროფ. **აპოლონ ნუცუბიძე,** ემდ, პროფ. **მიხეილ კახეთელიძე,** ემდ, პროფ. **ამირან ჯიბუტი**); სახალხო მეურნეობის ისტორიის (აკად. **პაატა გუგუშვილი)**; მრეწველობის ეკონომიკის (ემკ **იოსებ ბაჯაძე,** ემდ, პროფ. **კანდიდ ჩარკვიანი,** აკად. **ავთანდილ გუნია**); სოციალისტური წარმოების გაადგილების

(ემდ **აკაკი კაკაბაძე**); პოლიტიკური ეკონომიის განყოფილება (აკად. **ავთანდილ გუნია,** ემდ, პროფ. **აპოლონ ნუცუბიძე,** ემკ **მერაბ გველესიანი**); სტატისტიკის (ემდ, პროფ. **მიხეილ კახეთელიძე**); მიმოქცევის (ემდ, პროფ. **აკაკი კაკაბაძე**); სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის (აკად. **პაატა გუგუშვილი**); საბჭოთა ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის განვითარების (ემდ, პროფ. **ბექირბი ხასია**); საქართველოს ეკონომიკის ისტორიის (ემდ, პროფ. **ბექირბი ხასია,** ემკ **ნათია შიოლაშვილი**); სოციოლოგიის (აკად. **პაატა გუგუშვილი)**; აღრიცხვისა და ფინანსების (ემკ **შალვა ბურდული**); სოციალისტური აღწარმოების (აკად. **ავთანდილ გუნია**); საქართველოს ეკონომიკის განვითარების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილება (ემდ, პროფესორი **მიხეილ ჯიბუტი,** ემდ **მიხეილ თოქმაზიშვილი,** ემდ, პროფ. **ვალერიან დათუკიშვილი**); მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ პრობლემათა (აკად. **ავთანდილ გუნია,** ემკ **ილია რუბინშტეინი,** ემდ **თამაზ ჩიკვაიძე**); აღწარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის (ემდ **არჩილ თეთრაული**); აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ პრობლემათა (ემკ **დურსუნ დიასამიძე,** ემკ **თენგიზ ქავთარაძე**); ეკონომიკური განვითარების (ემდ **გივი ბედიანაშვილი,** ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**); არასაწარმოო სფეროს ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილება (ემკ **რევაზ ჯავახიშვილი**); სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის (იმდ, პროფ. **ალექსანდრე ბრეგვაძე**); დემოგრაფიისა და სოციოლოგიის (აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი,** ემდ **ავთანდილ სულაბერიძე**); ეკონომეტრიკის (ფ/მმკ **როლანდ სარჩიმელია**); მაკროეკონომიკის (ემდ **არჩილ თეთრაული,** ემკ **ნანული არევაძე**); მიკროეკონომიკის (ემკ **ზურაბ სოსელია,** ემდ **თემურ ბერიძე,** ემდ, პროფ. **გიორგი პაპავა,** ემდ, პროფ. **რამინ მითაიშვილი,** ემკ **იზა ნათელაური**); საფინანსო და საბანკო სისტემების (ემდ **მიხეილ როკეტლიშვილი,** ემკ **თინა ქურდაძე**); რეგიონული ეკონომიკის (ემკ **ვახტანგ ბურდული**); აგრარული ეკონომიკის (ემკ **დურსუნ დიასამიძე**); ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის (ემდ, პროფესორი **გიორგი წერეთელი**); ეკონომიკურ პროცესთა მართვის (ემდ, პროფ. **გიორგი ბერულავა**); ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვის, სტატისტიკისა და აუდიტის (ემკ **თეა ლაზარაშვილი**); აგრარული,

რეგიონული ეკონომიკის (ემდ **ვახტანგ ბურდული**); ეკონომიკური ინფორმატიკის (ემკ **ნანა ბიბილაშვილი**); ეკონომიკური აზრისა და სახალხო მეურნეოების ისტორიის (ემდ, პროფ. **ბექირბი ხასია**); მართვის ეკონომიკური პრობლემების ლაბორატორია (ემდ **ვახტანგ ბურდული**); სისტემური გამოკვლევებისა და თბილისის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიის ლაბორატორია (ემდ **გივი ბედიანაშვილი**); ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების სექტორი (ემდ **როლანდ სარჩიმელია**); ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკურ პრობლემათა ლაბორატორია (ემკ **თენგიზ ხოშტარია, ემდ ლეო ჩიქავა**); აღრიცხვისა და ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის ჯგუფი (ემკ **შალვა ბურდული**); შრომის ესთეტიკის ლაბორატორია (ფ/მმდ **ა. ჩხარტიშვილი**); სოციალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკის ლაბორატორია (ემკ, **დოც. რევაზ ჯავახიშვილი**); ინფორმატიკის ლაბორატორია (ემკ **გივი ლემონჯავა**); საგარეო ეკონომიკური კავშირების ლაბორატორია (ემკ **იზა ნათელაური**); მარკეტინგის ლაბორატორია (ემკ **მალხაზ შუბითიძე**); მენეჯმენტის ლაბორატორია (ემკ **თამაზ აქუბარდია**); მეურნეობრიობის ახალი ფორმების ლაბორატორია (ემდ **უშანგი სამადაშვილი**); რეგიონული მართვის ლაბორატორია (ემდ **ვახტანგ ბურდული**); აგრობიზნესის ლაბორატორია (ემკ **თენგიზ ქავთარაძე**); სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა კვლევის ლაბორატორია (ემკ **ლინა დათუნაშვილი**); ენერგო-ეკოლოგიის ეკონომიკურ პრობლემათა ლაბორატორია (ემდ **რამაზ აბესაძე**);

* * *

ინსტიტუტის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ეკონომიკური აზროვნების კულტურის ამაღლებისათვის. ამ ინსტიტუტში დაგროვებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ეკონომიკური პროფილის რამდენიმე ინსტიტუტი და განყოფილება (მათ შორის, **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის (1958), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის**

სახელობის (1958), ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი (1946) ინსტიტუტების ეკონომიკური განყოფილებები).

თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა არაერთგზის განიცადა ცვლილებები. 1957 წელს მის შემადგენლობაში შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელიც მალე გარდაიქმნა სექტორად (ხელმძღვანელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **თინათინ წერეთელი.** თანამშრომლები: **ივანე სურგულაძე, ლამარა სურგულაძე, დავით ფურცელაძე, ვლადიმერ მაყაშვილი, ისიდორე დოლიძე, თამარ ცაგურია, გიორგი ნადარეიშვილი, თენგიზ ლილუაშვილი, აკაკი მენაბდე, გივი ჟვანია, ალბერტ აბესაძე, დიმიტრი ბარათაშვილი, რევჯინალდ დეკანოზოვი, ბადრი ხასან ფარვიზფური, ხუტა როგავა, რევაზ ჩიჩუა, მიხეილ კეკელია, ოთარ გამყრელიძე, ბესარიონ ზოიძე, იაკობ ფუტკარაძე, ჯონი ხეცურიანი, ელენე მისკარიანი, გიორგი ტყეშელიაძე, ლევან გიორგაძე, თედო ნინიძე, კარლო ბზიშვილი, ნიბლია უგრეხელიძე, მინდია უგრეხელიძე, მზია ლეკვეიშვილი, ჯამლეტ ბაბილაშვილი, თამარ ებრალიძე, გიორგი თოდრია, ირაკლი გოძიაშვილი, სულხან გოგინავა, რუსუდან ბაქანიძე, ედუარდ კემულარია, გივი გოლოშვილი, დოდო ჯულუხაძე, ჯემალ ლეონიძე, ჯუმბერ რუსიაშვილი, მურთაზ გულედანი, მარიკა ცისკაძე, ქეთინო გაბელაია, ბესარიონ სეხნიანიძე, დავით ნადირაძე, მედიკო გვაზავა, მერაბ გელოვანი, თემურ გამცემლიძე, გოგი ლეჟავა, დავით დარახველიძე, გია ჭიღვარია, მაია ჩხატარაიშვილი, რევაზ ცინცაძე, თემურ ჯაფარიძე**) და რის გამოც მას 1958 წელს **ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი** ეწოდა. 1988 წელს სამართლის სექტორი სამართლის ცენტრად გადაკეთდა (პროფ. **თამაზ შავგულიძე**).

ინსტიტუტში სამართლის სექტორი ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარების კერად იქცა. მის წიაღში იურისტ მეცნიერთა მთელი თაობა აღიზარდა, რომელთა ნაშრომები მრავალ უმნიშვნელოვანეს პრობლემას (კრიმინოლოგიის, საერთაშორისო სამართლის, სახელმწიფოსა და სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სხვა) ეძღვნება, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნულ სამართალშემოქმედებით წინსვლაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **თინათინ წერეთლის** მოღ-

ვაწეობა, რომლის სამეცნიერო შრომებმა ეროვნულ იურიდიულ მეცნიერებას საყოველთაო აღიარება მოუტანა. ასევე აღსანიშნავია **ისიდორე დოლიძის, ვლადიმერ მაყაშვილის, თამაზ შავგულიძის, დავით ფურცელაძის, გიორგი ნადარეიშვილის, გივი ჟვანიას, თენგიზ ლილუაშვილის, ოთარ გამყრელიძის, იაშა ფუტკარაძის, ჯონი ხეცურიანის, ბესარიონ ზოიძის, ლაშა ბრეგვაძის და სხვათა ნაშრომები.**

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების მიმართულებით დაწყებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში ჩართული იყვნენ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **სერგო ბუაჩიძე,** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ბიძინა კელენჯერიძე**, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ზურა გალდავა**, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები **დავით კურტანიძე, დავით ჯაფარიძე, მზია ქებურია**, ამასთან, **დავით კურტანიძე** და **მზია ქებურია** ეკონომიკურ-მათემატიკური მიმართულებით ინსტიტუტის პირველი ასპირანტები იყვნენ (ხელმძღვანელი **ბიძინა კელენჯერიძე**).

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის წინადადებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ილია ვეკუამ თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტიდან ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ეკონომიკის მათემატიკურ-კიბერნეტიკული კვლევების გასაღრმავებლად ბრძანებით გადმოიყვანა 50-მდე თანამშრომელი, ძირითადად მათემატიკოსები. შედეგად, 1973 წლიდან ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ფუნქციონირება დაიწყო ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევისა და მათემატიკური სტატისტიკის სექტორმა (ხელმძღვანელი ფ/მმდ, პროფ. **გვანჯი მანია**), რომელთანაც ერთად სექტორის მუშაობას ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერი **რევაზ ჩიტაშვილი** წარმართავდა. მოგვიანებით სექტორის საორგანიზაციო საქმეები დაევალა ფ/მმკ **თენგიზ შერვაშიძეს.**

სექტორში თავიდან შედიოდა ორი განყოფილება და ერთი ჯგუფი. შემდეგ სექტორი გაფართოვდა და წარმოდგენილი იქნა ხუთ განყოფილებად:

1. ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის (გამგე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ელიზბარ ნადარაია,** 1981 წლიდან ფ/მმდ **თენგიზ შერვაშიძე**);

2. მართვადი შემთხვევითი პროცესების სტატისტიკის (ფ/მმდ **რევაზ ჩიტაშვილი**);
3. სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური პროგრამირების (ფ/მმკ **როლანდ სარჩიმელია**);
4. შემთხვევითი პროცესების სტატისტიკის (ფ/მმდ **ომარ ღლონტი**);
5. სტატისტიკურ გადაწყვეტილებათა განყოფილება (ფ/მმდ **ესტატე ხმალაძე**).

გარდა ამისა, სექტორში მუშაობდა პროგნოზირების მეთოდოლოგიის ჯგუფი (**ვიქტორ სარაჯიშვილი**).

სექტორის შემადგენლობაში მუშაობდნენ მეცნიერ თანამშრომლები: **გურამ ბერიშვილი, შოთა ბერიძე, ირაკლი ბოკუჩავა, ტრისტან ბუაძე, მიხეილ ბრეგვაძე, ნიკო გამყრელიძე, ლეილა გვანცელაძე, დიმიტრი დუნდუა, ოფელია ებრალიძე, შორენა ებრალიძე, ნუგზარ ელბაქიძე, სიმონ ელოშვილი, ზურაბ ზერაკიძე, ნანული ლაზრიევა, გივი ლემონჯავა, ქეთევან მანჯგალაძე, იოსებ მელამედი, გურამ მირზაშვილი, ედიკ მნაცაკანოვი, მარინა მუჩიაშვილი, ელიზბარ ნადარაია, აჩიკო ოსიძე, რეზო სალია, ვიქტორ სარაჯიშვილი, როლანდ სარჩიმელია, გია სოხაძე, მერი ტალახაძე, თემურ ტორონჯაძე, როლანდ ტყებუჩავა, ვობა ფელკერი, გივი ფიფია, ვოვა ფრიშლინგი, მზია ქებურია, გია ქინქლაძე, ომარ ღლონტი, თამაზ შაფათავა, მალხაზ შაშიაშვილი, თენგიზ შერვაშიძე, ლია ჩიტაშვილი, რევაზ ჩიტაშვილი, ელენე ჩიქოვანი, მერი ჩხეტია, ზურაბ ძაგნიძე, რევაზ ჭეიშვილი, ბადრი ხარაძე, ციალა ხახუბია, ესტატე ხმალაძე, ლევან ჯამბურია.**

სექტორში ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოებიდან აღსანიშნავია **რევაზ ჩიტაშვილის, ესტატე ხმალაძის, ელიზბარ ნადარაიას, როლანდ სარჩიმელიას, ომარ ღლონტის, თენგიზ შერვაშიძის, ნანული ლაზრიევას, მზია ქებურიას, გივი ლემონჯავას, თემურ ტორონჯაძის, მიხეილ მანიას, ლია ჩიტაშვილის, ელენე ჩიქოვანის, გურამ მირზაშვილის, მერი ტალახაძის, ლევან ჯამბურიას ნაშრომები.**

ეკონომიკურ-მათემატიკურ გამოკვლევათა და მათემატიკური სტატისტიკის სექტორის მეცნიერ მუშაკთა ძირითადი ნაწილი 1983 წელს შეუერთდა **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტს**,

მეცნიერ მუშაკთა დანარჩენი ნაწილი გადაყვანილ იქნა **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში** და **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა შემსწავლელი კომისიის** შემადგენლობაში.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დარჩა სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირებისა და ოპტიმალური პროგრამირების განყოფილება, რომელიც ინსტიტუტის დირექტორის აკად. **ავთანდილ გუნიას** ინიციატივით ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების სექტორად გადაკეთდა (ემდ **როლანდ სარჩიმელია**).

ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევის მიმართულების ძლიერი სამეცნიერო პოტენციალი თსუ ეკონომიკური კიბერნეტიკის კურსდამთავრებულთა და ასპირანტთა ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერული კადრებით შეივსო.

* * *

ინსტიტუტის ბაზაზე 1963, 1989 და 1991 წლებში შეიქმნა სამი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი: **საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტი** (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი პროფესორი **ვალერიან მელქაძე,** თანამშრომლები: **კანდიდ ჩარკვიანი, ნანული არევაძე, დომენტი მოურავიძე, გურამ ყუფუნია, გია ფირცხალავა, ალექსანდრე წერეთელი, ნიჟა ხურციძე, ილია მანაშეროვი)**; **საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი** (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, პროფესორი **თამაზ შავგულიძე,** ამჟამად დირექტორია პროფესორი **ლაშა ბრეგვაძე**).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის ინსტიტუტი (დამფუძნებელი და პირველი დირექტორი, პროფესორი **ლეო ჩიქავა**, ამჟამად დირექტორია პროფესორი **ავთანდილ სულაბერიძე)**.

1989 წელს ინსტიტუტს კვლავ ეკონომიკის ინსტიტუტი ეწოდა, ხოლო 1991 წლიდან მაშინდელი დირექტორის, პროფესორ ვლადიმერ პაპავას ინიციატივით მისი დამაარსებლის აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** სახელი მიენიჭა.

2006 წელს ინსტიტუტი გამოყვანილ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან და ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და ეწოდა „სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი“

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის № 103 დადგენილების შესაბამისად, სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულად.

* * *

ინსტიტუტის დაარსებიდან არაერთმა მეცნიერ-თანამშრომელმა გამოიჩინა თავი სამეცნიერო მოღვაწეობით. სამეცნიერო პროდუქციის სიუხვით გამოირჩეოდნენ: **პაატა გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ავთანდილ გუნია, ვასილ ჩანტლაძე, ვალერიან ბახტაძე, მიხეილ გველესიანი, ნიკო იაშვილი, აკაკი კაკაბაძე, ლუარსაბ კარბელაშვილი, მიხეილ კახეთელიძე, აპოლონ ნუცუბიძე, გრიგოლ ქარჩავა, ბექირბი ხასია, ვალიკო ჯიბლაძე, კირილე ღოღობერიძე** და სხვა. 60-იან წლებში და 70-იანი წლების პირველ ნახევარში მათ შეუერთდათ: **იზოლდა აბაშიძე, ნანული არევაძე, ვლადიმერ ახალაია, ოთარ ავალიშვილი, ლეო ბალანჩივაძე, ალექსანდრე ბრეგვაძე, ლეილა გუგუშვილი, რევაზ გოგოხია, შალვა ბურდული, ვალერიან დათუკიშვილი, დურსუნ დიასამიძე, გრიგოლ თოდუა, ანზორ თოთაძე, არჩილ თეთრაული, იური კაპანაძე, შურა მარგველაშვილი, გიორგი მშვილდაძე, ვალენტინა მიშინა, ნოე პაიჭაძე, გიორგი პაპავა, ვალიკო რეხვიაშვილი, სერგო სოსელია, არჩილ სტეფანიშვილი, გია ფირცხალავა, რაფაელ ხარბედია, კანდიდ ჩარკვიანი, გურამ ყუფუნია, დალი შენგელია, როზეტა ცხადაია, ალექსანდრე წერეთელი, თენგიზ ხოშტარია, რეზო ჯავახიშვილი, ამირან ჯიბუტი** და სხვები. განსაკუთრებით შესამჩნევი და მნიშვნელოვანია ავტორთა ზრდა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე. ამ პერიოდში აქტიურ სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდნენ: **რამაზ აბესაძე, თამაზ აქუბარდია, რამაზ ახმეტელი, გივი ბედიანაშვილი, ციალა ბენაშვილი, თემურ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, თე-**

მურ ბრელიძე, მარინა ბეგთაბეგიშვილი, ვალიკო ბუჩუკური, ციცინო გვრიტიშვილი, მერაბ გველესიანი, ლილი გვენეტაძე, ლინა დათუნაშვილი, ხვთისო დარისპანაშვილი, ბონდო ზარნაძე, ლია თოთლაძე, გია თოფურია, მიხეილ თოქმაზიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ოთარ კანდელაკი, არჩილ კობახიძე, ევგენი კირიკოვი, თეა ლაზარაშვილი, გივი ლემონჯავა, მედეა მელაშვილი, ელგუჯა მექვაბიშვილი, მარინა მუჩიაშვილი, მაკა მდინარაძე, იზა ნათელაური, კოტე ნიჟარაძე, ვლადიმერ პაპავა, დავით პაქსაშვილი, ზურაბ რევიშვილი, მიხეილ როკეტლიშვილი, როლანდ სარჩიმელია, ზურაბ სოსელია, აზიკო სისვაძე, ავთანდილ სულაბერიძე, უშანგი სამადაშვილი, ამირან სხირტლაძე, ნოდარ ულუმბერაშვილი, მზია ქებურია, თემურ ქოჩიაშვილი, თენგიზ ქავთარაძე, ნუნუ ქისტაური, თინა ქურდაძე, ნათია შიოლაშვილი, თამაზ ჩიკვაიძე, ელენე ჩიქოვანი, თინათინ ჩხეიძე, რომან ხარბედია, ქეთევან წიკლაური, ნუგზარ ცომაია, მარინე ცუცქირიძე, გიორგი წერეთელი, მიხეილ ჯიბუტი, მამუკა ხუსკივაძე, ნუნუ ყრუაშვილი და სხვები. აღსანიშნავია ისიც, რომ **გიორგი წერეთლის, ხვთისო დარისპანაშვილის, თემურ ბერიძისა და უშანგი სამადაშვილის** მონოგრაფიებს სხვადასხვა წლებში მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური მედალი და პრემია ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის. 2000-2013 წლებში აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საქართველოს **ღირსების ორდენით** დაჯილდოვდნენ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **რამაზ აბესაძე, იოველ ასათიანი, ვალერიან დათუკიშვილი, გიორგი პაპავა, როლანდ სარჩიმელია, გიორგი წერეთელი, ალფრედ კურატაშვილი;** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი თინა ჩხეიძე** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **იური კაპანაძე, ღირსების მედლებით** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **არჩილ თეთრაული;** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები: **ლინა დათუნაშვილი, იზა ნათელაური.**

ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოცემულია მრავალი ნაშრომი. მათგან აღსანიშნავია აკადემიკოსების **პაატა გუგუშვილის, ავთანდილ გუნიას და ვასილ ჩანტლაძის,** აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას** და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ლეო ჩიქავას,**

პროფესორების: **გიორგი წერეთლის, რამაზ აბესაძის, გიორგი პაპავას, თამაზ ჩიკვაიძის, ალფრედ კურატაშვილის, ვახტანგ ბურდულის, გიორგი ბერულავასა** და სხვათა მონოგრაფიები. მნიშვნელოვანია **„ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებულის“** (მთავარი რედაქტორი **პაატა გუგუშვილი**) თხუთმეტი ტომის, კრებულის – **„ეკონომიკა“** – ექვსი ტომის, ინსტიტუტის თემატური სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის **„საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“** ოთხი ტომის (პროფ. **გიორგი წერეთლის** რედაქციითა და წინასიტყვაობით), **„პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის“** თერთმეტი ტომის (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**), **„საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება: მოსაზრებები, წინადადებები, რეკომენდაციები“** (რედაქტორი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**); საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციების მასალათა -თორმეტი კრებულის (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**); ასევე კოლექტიური ნაშრომების **„ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველოს კონცეპტუალურ-ნორმატიული მოდელი“** (ხელმძღვანელი ემდ, პროფ. **ვლადიმერ პაპავა**), **„სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია“** (ხელმძღვანელი აკად. **ავთანდილ გუნია**) და **„საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია“** (ხელმძღვანელი ემდ, პროფ. **ვლადიმერ პაპავა**),

***

ინსტიტუტის კოლექტივი წარმატებით ახორციელებს კვლევის შედეგების ცალკე ნაშრომებად გამოცემას. 2000 წლიდან გამოიცა მრავალი ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია: **„პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“** (ვლადიმერ პაპავა); **„Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism“** (ვლადიმერ პაპავა); **„ცენტრალური კავკაზია (გეოპოლიტეკონომიური ნარკვევი)“** (ვლადიმერ პაპავა**); „ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე)“** (ვლადიმერ პაპავა); **Economic**

Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After (ვლადიმერ პაპავა); **Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium** (ვლადიმერ პაპავა, თანაავტორი იური ანანიაშვილი); **„გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკონომიკური რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობების პირობებში“** (გიორგი წერეთელი); **„პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე)“** (გიორგი წერეთელი, ნანა ბიბილაშვილი); **„ეკონომიკური განვითარება“** (პროფესორი რამაზ აბესაძე); **„ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი“** (რამაზ აბესაძე); **„მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში“** (რამაზ აბესაძე, ემკ ეთერ კაკულია); **„Сруктурные и инновационные проблемы экономического развития“** (რამაზ აბესაძე, ვახტანგ ბურდული); **„Foreign experience and formation innovation system Georgia“** (რამაზ აბესაძე, ვახტანგ ბურდული); **„Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы“** (გიორგი პაპავა); **„ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები“** (რამაზ აბესაძე, როლანდ სარჩიმელია, ნანული არევაძე, მედეა მელაშვილი); **„საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“** (როზეტა ასათიანი); **„საბაზრო ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა“** (თინათინ ჩხეიძე); **„პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები“** (ალფრედ კურატაშვილი), **„კონსტიტუცია: ხალხის ინტერესებისადმი მისი დაქვემდებარების პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმები“** (ალფრედ კურატაშვილი), **„ჰუმანოსოციალური სახელმწიფოს და მისი სამართლებრივი სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები“** (ალფრედ კურატაშვილი); **„ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე)“** (ვახტანგ ბურდული); **„საქართველოს მთავრობის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უსაფრთხოების ასპექტის გაძლიერება“** (გიორგი ბერულავა); **„ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში“** (გიორგი ბერულავა, თანაავტორები: ფრ. გასმანი, მ. თოქმაზიშვილი)); **აგროეკონომიკისა და აგრობიზნესის საკითხები“** (თინა ჩხეიძე); **„ილია ჭავჭავაძე და კაპიტალიზმის**

პრობლემები საქართველოში“ (მურმან კვარაცხელია); **„საერთაშორისო ბიზნესის პრობლემები“** (რევაზ ჯავახიშვილი); **„ინფლაციური პორცესები: შეფასება და რეგულირება (საქართველოს მაგალითზე)“** (თეა ლაზარაშვილი, ლია თოთლაძე); **„საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება“** (იზა ნათელაური); **„საერთაშორისო ეკონომიკის და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თანამედროვე პრობლემები მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებში** (იზა ნათელაური); **„მეაბრეშუმეობის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები საქართველოში“** (ლინა დათუნაშვილი); **„Нобелевские лауреаты по экономике и их вклад в развитие экономической науки“** (ნატა დავლაშერიძე); **„აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში“** (თენგიზ ქავთარაძე); **„სამრეწველო ფირმის მართვის სრულყოფის აქტუალური საკითხები“** (ნუნუ ქისტაური); **„ეკონომეტრიკის მეთოდების გამოყენების საკითხები და ძირითადი ეკონომეტრიკული მოდელები“** (მარინე ცუცქირიძე); **„ეროზიული ნიადაგების რეკულტივაციის ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობა“** (ქეთინო ქველაძე) და სხვები.

* * *

ეკონომიკის ინსტიტუტში ტრადიციულად დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა დისციპლინათშორის კვლევას. მისი დაარსების დღიდანვე გაიშალა მუშაობა ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესაქმნელად. 1947 წელს გამოიცა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგია, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ: **პაატა გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ვასილ ჩანტლაძე, იოსებ ბაჯაძე, ნიკო დგებუაძე, აკაკი კაკაბაძე, ლუარსაბ კარბელაშვილი, აპოლონ ნუცუბიძე, ია ყიფშიძე** და სხვა (აღნიშნული მუშაობა მიმდინარეობდა ენათმეცნიერებთან თანამშრომლობით).

დისციპლინათაშორისი კვლევა ინსტიტუტში განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში. მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული ეკონომიკურ-მათემატიკური და სისტემური გამოკვლევების მიმართულებით როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკულ-გამოყენებითი

კუთხით, წარმატებით მიმდინარეობდა ეკოლოგიის ეკონომიკური პრობლემების კვლევა. იყო ცდა, ინტენსიური გამხდარიყო კვლევა ეკონომიკისა და ფილოსოფიის, ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და ესთეტიკის საერთო პრობლემებზე. ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა მეცნიერების, განათლებისა და ჯანდაცვის ეკონომიკის სფეროებში.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრაში. 90-იანი წლებიდან გააქტიურდა ისეთი პრობლემების კვლევა, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობასა და საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებასთან. გამოკვლევები საფუძვლად დაედო მთელ რიგ სამთავრობო და საკანონმდებლო დოკუმენტებს, აგრეთვე საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კონცეფციებს და პროგრამებს. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით თემატიკაში გამოირჩეოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა: სოციო-კაპიტალიზმის ეკონომიკური საფუძვლები, საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის თეორიული პრობლემები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებანი საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში, ეკონომიკური პროგნოზირების თეორიული პრობლემები, საბაზრო ეკონომიკის მოდელები და მაკროეკონომიკური განვითარების ტენდენციები, ფირმის ფუნქციონირების მარკეტინგული სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებები, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური პრობლემები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, რეგიონული ეკონომიკის პრობლემები, საგარეო ეკონომიკური კომპლექსის განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების და მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიული პრობლემები, ეკონომიკური აზრის განვითარებისა და ეკონომიკური ისტორიის, ფინანსების, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის პრობლემები და სხვა.

ინსტიტუტში წლების განმავლობაში ტრადიციად ქცეულმა დისციპლინათშორისმა კვლევებმა და მისმა შედეგებმა მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა ფართომასშტაბიანი კომპლექსური კვლევების ჩასატარებლად. სწორედ ამან განაპირობა ინსტი-

ტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება, აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, დამუშავებული ყოფილიყო სისტემურად ურთიერთდაკავშირებული ერთიანი კომპლექსური კვლევის ამსახველი ნაშრომი: **„მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“.** აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომმა, რომელიც გამოვიდა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეგიდითა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **ვლადიმერ პაპავას**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **გიორგი წერეთლის**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **ავთანდილ სილაგაძის**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **იაკობ მესხიას**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **კლიმენტი აჩელაშვილისა** და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **იური ანანიაშვილის** ავტორობით, 2004 წელს მიიღო საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. 2008 წელს აკადემიკოს ვლადიმერ პაპავამ მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია წიგნისათვის – **„Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism“.**

* * *

ცალკე უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის მიღწევებში დირექტორების: აკადემიკოს **ავთანდილ გუნიას,** აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავასა** და პროფესორ **გიორგი წერეთლის** განსაკუთრებული დამსახურების, ასევე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეების – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ლეო ჩიქავას,** პროფესორ **თამაზ ჩიკვაიძის,** პროფესორ **ბექირბი ხასიას, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის,** დოცენტების **თენგიზ ხოშტარიასა და თამაზ აქუბარდიას** მნიშვნელოვანი წვლილის შესახებ.

* * *

ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: **პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია, ვასილ ჩანტლაძე, აპოლონ ნუცუბიძე, მიხეილ კახეთელიძე, ბექირბი ხასია, სერგო ბუაჩიძე, ალექსანდრე ბრეგვაძე, დურსუნ დიასამიძე, მიხეილ ჯიბუტი.**

გასული საუკუნის 90-იან წლებიდან კიდევ უფრო გაძლიერდა ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერია აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას, გიორგი წერეთლის, რამაზ აბესაძის, ალფრედ კურატაშვილის, ვახტანგ ბურდულის, გიორგი ბერულავას, მურმან კვარაცხელიას, თემურ ბერიძის, თამაზ აქუბარდიას, ილია ზაქარიაძის**, **ნაზირა კაკულიას, თეიმურაზ გოგოხიას** საქმიანობა**.**

ინსტიტუტის თანამშრომლები თავიანთ ძირითად სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, წლების განმავლობაში ეწეოდნენ და ეწევიან აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. გარდა ამისა, ინსტიტუტში ხშირად სხვადასხვა დანიშნულების პრაქტიკას გადიოდნენ და გადიან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

* * *

XX საუკუნის 60 – 70-იან წლებში ეკონომიკის ინსტიტუტში ფუნქციონირებდა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამი სპეციალიზებული საბჭო. ერთი სადოქტორო (პოლიტიკური ეკონომიისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის სპეციალობით) და ორი საკანდიდატო (1. პოლიტიკური ეკონომიის, სახალხო მეურნეობის ისტორიის, ეკონომიკური აზრის ისტორიის სპეციალობებით და 2. მრეწველობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით). 1981 წელს მუშაობა დაიწყო ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მიმნიჭებელმა სპეციალიზებულმა საბჭომ, სპეციალობით: 08.00.05 – სახალხო მეურნეობისა და მისი დარგების ეკონომიკა, დაგეგმვა და მართვის ორგანიზაცია (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა). 1992 წლიდან

2006 წლამდე ინსტიტუტში მუშაობდა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო შემდეგი სპეციალობებით: 08.00.01 – „პოლიტიკური ეკონომია (ეკონომიკსი), ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია“, 08.00.03 – „მაკროეკონომიკა“, 08.00.04 – „ეკონომეტრიკა“ და 08.00.09 – „ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკა“ (სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეები იყვნენ აკადემიკოსები **პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია** და **ვლადიმერ პაპავა**, პროფესორები **გიორგი წერეთელი** და **რამაზ აბესაძე**).

* * *

ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კადრებით შევსება ძირითადად ხდებოდა მისი ასპირანტურის წარმატებით კურსდამთავრებულებით, პირველი ასპირანტები იყვნენ: **დიმიტრი ქორიძე, ნიკანდრო ჯაკობია და ქეთევან დადიანი** (საქართველოში პირველი მეცნიერებათა კანდიდატი ქალი ეკონომიკურ მეცნიერებაში). ამ გზით ინსტიტუტმა ქვეყანას აღუზარდა მრავალი მაღალკვალიფიციური ეკონომისტი და იურისტი, რომლებიც წარმატებით საქმიანობდნენ და საქმიანობენ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, სამართალდამცავ ორგანოებში, პარლამენტში, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში და სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის დამსახურება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. ინსტიტუტის კედლებში აღიზარდნენ პარლამენტის, მთავრობის, სამინისტროებისა და უწყებების არაერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ეკონომისტები: **ვლადიმერ პაპავა, მიხეილ ჯიბუტი, ზურაბ სოსელია, თეიმურაზ ბერიძე, სოლომონ პავლიაშვილი, ჭკუასელი, თამაზ ჩიკვაიძე, მურმან კვარაცხელია, რევაზ გოგოხია, თამაზ აქუბარდია, ნოდარ ულუმბერაშვილი, ილია ზაქარიაძე, გია თოფურია, გურამ ხასია, ანზორ თოთაძე, ზურაბ გარაყანიძე, მარინა მუჩიაშვილი, ელენე ჩიქოვანი, მიხეილ თოქმაზიშვილი, ლილი გვენეტაძე, ციალა ბენაშვილი, თემურ გოგოხია; იურისტები: ჯონი ხეცურიანი, კონსტანტინე კემუ-**

ლარია, თედო ნინიძე, მინდია უგრეხელიძე, სოსო ბაჩიაშვილი, იაკობ ფუტკარაძე, ბესარიონ ზოიძე, ადა მარშანია, დავით სულაქველიძე და ბევრი სხვა.

* * *

ინსტიტუტს მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა აქვს ქვეყნის წამყვან მეცნიერ-ეკონომისტებთან, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ინსტიტუტის წარმატებებში, ესენი არიან ცნობილი მეცნიერები: აკადემიკოსი **ავთანდილ სილაგაძე, სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, პროფესორები: იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, გივი ბედიანაშვილი, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, რევაზ გველესიანი, გულნაზ ერქომაიშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი, რევაზ კაკულია, თეიმურაზ კანდელაკი, გივი ლემონჯავა, პარმენ ლემონჯავა, ზურაბ ლიპარტია, ელგუჯა მექვაბიშვილი, მარინა მუჩიაშვილი, ბესარიონ ნაყოფია, ნუგზარ პაიჭაძე, უშანგი სამადაშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, მირონ ტუღუში, სლავა ფეტელავა, თემურ შენგელია, ოთარ შონია, გიორგი ცაავა, მიხეილ ჩიკვილაძე, ნოდარ ხადური, ეთერ ხარაიშვილი, გურამ ხასია,, მიხეილ ჯიბუტი** და სხვა.

* * *

ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორები მისი დაარსებიდან იყვნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი** (1944-1976), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია** (1976-1991), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა** (1991-1996), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი წერეთელი** (1996-2008). ამჟამად ინსტიტუტის დირექტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ აბესაძე** (2008 წლიდან).

პაატა გუგუშვილი

პაატა გუგუშვილი დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს სოფელ კოდორში (აბაშის რ-ნი).

1917-1923 წლებში სწავლობდა ფოთისა და ქუთაისის გიმნაზიებში. 1923 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით დაამთავრა 1927 წელს.

1930 წელს დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იმავე წელს მას მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება, 1938 წელს კი, დისერტაციის დაუცველად, პროფესორების **ფ. გოგიჩაიშვილის, გ. გეხტმანის, მ. პოლიექტოვის** წარდგინებით, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ). 1940 წელს პ. გუგუშვილმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომელსაც გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა **ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა და ფ. გოგიჩაიშვილმა** (რომლებიც დისერტაციის ოფიციალური რეცენზენტ-ოპონენტები იყვნენ) დიდი შეფასება მისცეს.

1940-1945 წლებში აკადემიკოსი პ. გუგუშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე.

მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში – 1944 წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით, აქტიური ძა-

ლისხმევითა და შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც დაარსებიდან 1976 წლამდე, 32 წლის განმავლობაში, თვითონვე ედგა სათავეში. 1948 – 1974 წლებში იყო ამავე ინსტიტუტთან არსებული სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1961 წელს პაატა გუგუშვილი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – აკადემიკოსად.

პ. გუგუშვილი 30-იანი წლებიდან იყო ქართული ჟურნალ „ეკონომისტი“-ს რედკოლეგიის წევრი, ხოლო 1958 წლიდან, 15 წლის განმავლობაში, მისი ინიციატივით აღდგენილი ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი. იგი აქტიურ მუშაობას ეწეოდა, როგორც ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს“ (ეკონომიკისა და სამართლის სერიების) რედკოლეგიის წევრი.

პ. გუგუშვილი 1930-1967 წლებში მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობასთან შესანიშნავად ათავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 100-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იყო 90-მდე საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტი.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნაადაა გამოცემული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.“, რომელშიც, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი, მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი რომ ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა არასრული ჩამო-

ნათვალი, რომელიც ეხება ისტორიის, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. აი ისინიც: **„ქართული წიგნი 1629-1929წწ.“; „ქართული ჟურნალისტიკა“; „სოციოლოგიური ეტიუდები“; „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე“; „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“, „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა“; „დემოგრაფიის ნარკვევები“** და სხვ., რომელთაც, ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1983 წელს აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი დაჯილდოვდა საქართველოს პროფკავშირის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, როგორც პროფკავშირების სახალხო უნივერსიტეტის რექტორი. 1985 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი გარდაიცვალა 1987 წლის 27 თებერვალს.

ავთანდილ გუნია

ავთანდილ გუნია დაიბადა 1912 წლის 27 სექტემბერს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1928 წელს დაამთავრა ბაქოს სამხედრო სასწავლებელი.

1928-1932 წლებში სწავლობდა თბილისის შ. ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმში.

1934 წელს ჩაირიცხა და 1939 წელს მოსკოვში დაამთავრა პლეხანოვის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი საქონელმცოდნის სპეციალობით.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორად, თბილისში.

1940 წელს გაგზავნილ იქნა მოსკოვში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1942 წელს.

1942-1952 წლებში მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებობაზე საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

1952-1953 წლებში იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა სამმართველოს უფროსი.

1953 წელს საქართველოს კომპარტიის ცკ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

1953-1957 წლებში იყო საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

1957 წლის ბოლოს გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. 1960 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მო-

ადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, ხოლო 1976 წლიდან – დირექტორი.

1950 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1962 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1966 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1967 წლიდან იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1979 წლიდან კი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1980 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ავთანდილ გუნია 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 20 მონოგრაფიის. მის შრომებში ასახულია ეკონომიკური თეორიის, მრეწველობის ეკონომიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და საბაზრო ეკონომიკის აქტუალური პრობლემები.

მათგან აღსანიშნავია: „Экономические проблемы научно-технического прогресса в Грузии“, Тбилиси, «мецниереба», 1983; „საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირების საკითხები“, თბილისი „მეცნიერება“, 1991; „მოსახლეობის ცხოვრების დონე – ეკონომიკური განვითარების ამსახველი ფაქტორი“, ჟ. „მაცნე“ ეკონომიკის სერია, 1993, ტ. 1, #1; „ბაზარი (საბაზრო ურთიერთობები როგორც ეკონომიკური კატეგორია)“ ჟ. „მაცნე“ ეკონომიკის სერია, 1995, ტ. 1, #1.

დიდია მისი წვლილი სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 20-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მისი პედაგოგიური საქმიანობა. იგი წლების განმავლობაში იყო კათედრის გამგე საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და წარმატებით კითხულობდა ლექციებს ამავე უმაღლეს სასწავლებელში.

აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ნაყოფიერი მუშაობა არაერთგზის აღინიშნა მაღალი სახელმწიფო ჯილდოებით და ფულადი პრემიებით.

აკადემიკოსი ავთანდილ გუნია გარდაიცვალა 1997 წლის 2 ოქტომბერს.

ვლადიმერ პაპავა

ვლადიმერ პაპავა დაიბადა 1955 წლის 25 მარტს თბილისში, პედაგოგების ოჯახში.

1972 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-15 საშუალო სკოლა.

1972 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით, რომლის სრული კურსიც წარჩინებით დაამთავრა 1977 წელს.

1982 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში), 1989 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია.

ვლადიმერ პაპავა 1991 წლიდან ეწევა დიდ სამეცნიერო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი 1991-1996 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი; 1994-2000 წლებში – საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, ხოლო 2004-2008 წლებში – საქართველოს პარლამენტის წევრი. 1997 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 2013 წლიდან აკადემიის ნამდვილი წევრი. იგი არის საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის (1987), მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის (2004) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემიის (2008) ლაურეატი.

ვლ. პაპავა არის ავტორი 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეძღვნება ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების, მაკროეკონომიკის, ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის, საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკურ პრობლემებს. მათგან აღსანიშნავია: **„პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“,** თბილისი, „პდპ“, 2002; **„Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism“,** New York: Universe, 2005; **„ცენტრალური კავკაზია (გეოპოლიტეკონომიური ნარკვევი)“,** თბილისი, „სიახლე“, 2009**; „ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე)".** თბილისი, „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა», 2010; **Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After.**New York, Nova Science Publishers, 2013; **Laffer-Keynesian Synthesis and Macro¬economic Equilibrium.** New York, Nova Science Publishers, 2014 (თანაავტორი იური ანანიაშვილი).

აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მეცნიერული სიახლეებიდან შეიძლება აღინიშნოს: დასაბუთებულ იქნა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი არის წარმოების მეხუთე ფაქტორი, ხოლო ბიზნესზეირიბი გადასახადები – შესაბამისი ფაქტორალური შემოსავალი; ჩამოყალიბებულ იქნა „ნეკროეკონომიის“ თეორია, როგორც პოსტ-კომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიის საფუძველი; ჩამოყალიბებულ იქნა საბაზრო თანასწორობის თეორია; შეიქმნა ლაფერ-კენზიანური სინთეზის საფუძვლები; შემოღებულ იქნა ნაწილობრივ პროდუქტიული მატრიცის ცნება, რაზე დაყრდნობითაც განისაზღვრა დანახარჯი-გამოშვება (დარგთაშორისი ბალანსის) დინამიკურ მოდელთა პროდუქტიულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები; აგებულ იქნა „გადასახადების გარეშე ეკონომიკის“ მოდელი; აგებულ იქნა საგადასახადო კორუფციის ინდექსები; აგებულ იქნა ლაფერის ეფექტის ამსახველი ახალი მრუდები, რომლებიც დროის ფაქტორს ითვალისწინებენ და სხვა.

ვლ. პაპავას ხელმძღვანელობით 10 დისერტანტს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

აკადემიკოს ვლადიმერ პაპავა 2013-2016 წლებში იყო ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. ამაჟამად ის ამ უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორია. იგი ამასთან ერთად ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ, სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ჯონს ფოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) ცენტრალური აზია-კავკასიის ინსტიტუტის კვლევისა და პოლიტიკის ტრანსატლანტიკური გაერთიანებული ცენტრის ასოცირებული უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

გიორგი წერეთელი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი შაქროს ძე წერეთელი დაიბადა 1952 წლის 20 იანვარს ქალაქ ლანჩხუთში.

1969 წელს წარმატებით დაამთავრა ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, ხოლო 1975 წელს – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით.

1996-2008 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი.

1980 წლიდან იგი იწყებს მოღვაწეობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში, სადაც ის მუშაობდა უმცროს, უფროს, წამყვან, მთავარ მეცნიერ თანამშრომლად, დირექტორის მოადგილედ, დირექტორის პირველ მოადგილედ და 1996-2008 წლებში (გარდაცვალებამდე) იყო დირექტორი.

გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 20 წიგნი (5 თანაავტორობით). ერთ-ერთ მონოგრაფიას – „**ბუნებათსარგებლობის პროცესების ოპტიმიზაციის ეკონომიკური საკითხები**“ 1984 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური მედალი და პრემია ახალგაზრდა მეცნიერთა შორის. 2003 წელს მიღებულ აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

გიორგი წერეთლის სამეცნიერო ნაშრომები ძირითადად ეძღვნება ეკონომიკურ-მათემატიკური, ეკონომიკურ-ეკოლო-

გიური, მაკროეკონომიკის, ეკონომიკური თეორიისა და სხვა პრობლემების კვლევას. მისი მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: **„გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკონომიკური რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობების პირობებში".** თბილისი, „მეცნიერება", 2003; **„პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე)".** თბილისი, „მეცნიერება", 2004 (თანაავტორობით); **„ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების საფუძვლები და მათი ეკონომიკაში გამოყენების ზოგიერთი პრაქტიკული მაგალითი".** თბილისი, „მეცნიერება", 2000 და სხვა.

იგი, სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. 1996-2003 წლებში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს და მისი დარგობრივი ეკონომიკური სექციის წევრი, სეს-ის სანოსტრიფიკაციო კომისიის წევრი. 1998-2001 წლებში იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან არსებული ეკონომიკის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 1996-2003 წლებში საქართველოს ეკონომიკის, ფინანსთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის სამინისტროებთან, ანტიმონოპოლიურ სამსახურთან და კონტროლის პალატასთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების წევრი; 1998-2006 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ეკონომიკის საკოორდინაციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 2000 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ასოციაციის თანათავმჯდომარე; 2001-2003 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; 2003-2006 წლებში საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის წევრი, ამავე საბჭოს ეკონომიკის დარგობრივი სექციის თავმჯდომარე; 2004 წლიდან გარდაცვალებამდე საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

გიორგი წერეთელი, ინტენსიურ მეცნიერულ და მეცნიერულ-ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის მაღალკ-

ვალიფიციური კადრების მომზადებაში. გარდა იმისა, რომ აღზრდილი ჰყავს სტუდენტ-ეკონომისტთა რამდენიმე თაობა, მისი, როგორც დირექტორის, საერთო ხელმძღვანელობით მომზადდა ხუთ ათეულზე მეტი სამეცნიერო ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური ეკონომისტი, ხოლო მისი უშუალო ხელმძღვანელობით – ორი მეცნიერებათა დოქტორი და ხუთი მეცნიერებათა კანდიდატი.

გიორგი წერეთელი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ეკონომიკის დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 2001 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით.

პროფესორი გიორგი წერეთელი გარდაიცვალა 2008 წლის 12 ივნისს.

რამაზ აბესაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე დაიბადა 1952 წლის 14 მაისს ქ. ტყიბულში პედაგოგების ოჯახში.

1969 წელს, თბილისის 54-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1974 წელს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციით.

იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც იგი იყო უფროსი ლაბორანტი (1974), მეცნიერი თანამშრომლი (1976), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1986), წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (1989), ლაბორატორიის გამგე (1991), განყოფილების გამგე (1997), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (2002). ინსტიტუტის დირექტორად არჩეულ იქნა 2008 და 2018 წელს.

1985 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, 1999 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1989 წელს უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, 1998 წელს დოცენტის, ხოლო 2003 წელს პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება მაკროეკონომიკის სპეციალობით.

პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1987 წელს ჯერ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტში. 1995 წლიდან დღემდე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაკროეკონომიკისა და ეკონომიკის პრინციპების კათედრაზე. იყო და არის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სრული პროფესორი.

რამაზ აბესაძე 2001-2003 წლებში იყო ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2003-2007 წლებში თავმჯდომარე.

პროფ. რამაზ აბესაძეს გამოქვეყნებული აქვს 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის 9 მონოგრაფია (4 თანაავტო-

რობით)) და 2 სახელმძღვანელო.. თავდაპირველად მისი სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სამრეწველო წარმოების, განსაკუთრებით, ელექტროენერგეტიკული წარმოებისა და მოხმარების ეკონომიკური პრობლემები, რომელსაც მან მიუძღვნა მონოგრაფია – **„Научно-технический прогресс и эффэктивность производства и потребления электроэнергии в Грузии“**. Тб., Мецниереба, 1985. შემდეგ ავტორის კვლევის საგანი ფართოვდება ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემებით. ამ პრობლემებთან დაკავშირებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია – **„ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორი და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მექანიზმი საქართველოში“** (თბ., „მეცნიერება“, 2004). ამჟამად პროფ. რამაზ აბესაძის სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავს ეკონომიკური განვითარებასა და პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ პრობლემებს, რასაც ეძღვნება მისი არაერთი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფ, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: **„ეკონომიკური განვითარება“. თბ., „მერიდიანი“, 2006; „მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2008 (თანაავტორობით ეთერ კაკულიასთან); „ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი“**. თბ., თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014; **„Сруктурные и инновационные проблемы экономического развития“.** თბ., „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2014 (თანავტორობით ვახტანგ ბურდულთან); **„Foreign experience and formation innovation system Georgia“. LAMBERT. Academik Pablishing. 2018** (თანავტორობით ვახტანგ ბურდულთან)

ეკონომიკური განვითარების პრობლემებსადმი მიძღვნილი ნაშრომის საფუძველზე, თსუ მაკროეკონომიკის კათედრის ინიციატივით, პროფ. რ. აბესაძის მიერ მომზადდა ლექციების კურსი, გამოიცა შესაბამისი სახელმძღვანელოები და იკითხება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დისციპლინები – „ეკონომიკური განვითარება“ და „ეკონომიკური განვითარების თეორია“.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. აბესაძე არის საერთაშორისო-ანალიტიკური ჟურნალის – **„ეკონო-**

მისტისა“ და პერიოდული გამოცემის – **„პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის“** დაარსების ინიციატორი და მთავარი რედაქტორი, მისი ინიციატივით ყოველწლიურად ტარდება ინსტიტუტის დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები და საერთაშორისო ინტერნეტ-კონფერენციები, დაარსდა **„დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია",** რომელიც შეუდგა **„დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის“** გამოსაცემად მომზადებას. მისივე ინიციატივით და სამეცნიერო საბჭოს მხარდაჭერით ინსტიტუტში ასევე განხორციელდა სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება (დაარსდა ინსტიტუტის გამომცემლობა, გაიხსნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის კაბინეტი, დაარსდა სადისკუსიო დარბაზი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დაწესდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ეკონომიკური მეცნიერების დარგში, მოწესრიგდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რეკომენდაციების შემმუშავებელი კომისია და სხვ.).

პროფესორ რამაზ აბესაძეს საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ეკონომიკის დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 2001 წელს გამოეცხადა საქართველოს პრეზიდენტის მადლობა, ხოლო 2002 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით, 2014 წელს დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, არის საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის საპატიო დოქტორი.

*** * ***

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეები 2006 წლამდე იყვნენ ინსტიტუტის დირექტორები. 2007-2013 წლებში სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო პროფესორი **თინა ჩხეიძე.** ამჟამად სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა პროფესორი **რამაზ აბესაძე.**

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეები იყვნენ: აკადემიკოსი **ავთანდილ გუნია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **თენგიზ ხოშტარია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ლეო ჩიქავა,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამაზ ჩიკვაიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი **გიორგი წერეთელი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ბექირბი ხასია** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თეიმურაზ ბერიძე,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **თამაზ აქუბარდია,** პროფესორი **თინათინ ჩხეიძე**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რამაზ აბესაძე.** ამჟამად ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა **ზურაბ წერეთელი.**

ინსტიტუტის სწავლული მდივნები იყვნენ: ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები: **აკაკი კაკაბაძე, კირილე ღოღობერიძე, თენგიზ ხოშტარია, გრიგოლ ქარჩავა, მამულო კეკელიძე, ვალიკო ჯიბლაძე, ლეილა ნოდია, ზინა გვაჯავა, ლამარა მინდორაშვილი, ნოდარ ულუმბერაშვილი, თამაზ აქუბარდია, ნანა მიჩელაშვილი, ლინა დათუნაშვილი,** პროფესორები **თინათინ ჩხეიძე**, **ჯამლეთ შათირიშვილი,** მეცნიერი თანამშრომელი **კოტე ბაქრაძე.** ამჟამად ინსტიტუტის სწავლული მდივანია ეკონომიკის დოქტორი **ლინა დათუნაშვილი.**

ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეები იყვნენ: **ქეთევან ასათიანი**, **მარი კაპანელი.** ამჟამად ბიბლიოთეკის გამგეა **ელენე დათუკიშვილი**.

ინსტიტუტის მთავარი ბუღალტრები იყვნენ: **ა. პოდკოლვინა, ნინო გოგოლაძე, ნუცა ჯღამაძე, ზურაბ ჭიჭიკოშვილი, მარგალიტა კარგარეთელი, მაია ჭინჭარაული.**

2006 წელს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო 2011 წლიდან თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

2018 წელს საქართველოს კანონმდებლობის, თსუ წესდებისა და ინსტიტუტის დებულების საფუძველზე განისაზღვრა ინსტიტუტის და მეცნიერ თანამშრომელთა სტატუსი და ჩატარდა შესაბამისი კონკურსები. ამჟამად ინსტიტუტის სტრუქტურას აქვს შემდეგი სახე:

- **დირექცია** (დირექტორი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **რამაზ აბესაძე,** მოადგილე – **ზურაბ წერეთელი**);
- **სამეცნიერო საბჭო** (თავმჯდომარე – პროფესორი **რამაზ აბესაძე,** მოადგილეები: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები – **ალფრედ კურატაშვილი და ვახტანგ ბურდული**);

- **სამეცნიერო კვლევითი განყოფილებები:**
- **ეკონომიკური თეორიის** (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ალფრედ კურატაშვილი**);
  1. **სექტორული და რეგიონული ეკონომიკის** (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ვახტანგ ბურდული**);
  2. **ბიზნესის პრობლემათა კვლევის** (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **გიორგი ბერულავა**);
  3. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების** (აკადემიური დოქტორი **რევაზ ჯავახიშვილი**);
  4. **ფინანსებისა და საბანკო საქმის** (აკადემიური დოქტორი **თეა ლაზარაშვილი**);
  5. **ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის** (აკადემიური დოქტორი **მამუკა ხუსკივაძე**).
  6. **მაკროეკონომიკის;**
- **სამეცნიერო პერსონალი:**

მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: *აკადემიკოსი* ***ვლადიმერ პაპავა,*** *პროფესორები:* ***რამაზ აბესაძე, ალფრედ კურატაშვილი, ვახტანგ ბურდული, გიორგი ბერულავა.***

უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: *ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი:* ***მუმან კვარაცხელია,*** *ეკონომიკის დოქტორები:* ***ნანა ბიბილაშვილი, გიორგი ბრეგვაძე, ლინა დათუნაშვილი, ნატა დავლაშერიძე, ეთერ კაკულია, თეა ლაზარაშვილი, ქეთევან ქველაძე, ნუნუ ქისტაური, მარინე ცუცქირიძე, მამუკა ხუსკივაძე, რევაზ ჯავახიშვილი.***

მეცნიერი თანამშრომლები: *აკადემიური დოქტორები:* ***თეიმურაზ გოგოხია, ლია თოთლაძე,*** *მაგისტრები:* ***ლია დვალიშვილი, თამარ თაფლაძე, ციცინო თეთრაული, ქეთევან კურატაშვილი, მედეა მელაშვილი, ზურაბ ნოზაძე,.***

- **სხვა სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი:**

– სწავლული მდივანი (ეკონომიკის დოქტორი ***ლინა დათუნაშვილი****);*

*– კანცელარია (****ეთერ ჯაბანაშვილი****);*

*– ფინანსური მენეჯერი (****თეა შონია****);*

*– ბიბლიოთეკა (****ელენე დათუკიშვილი****);*

– გამომცემლობა (ხელმძღვანელი ***ნატო აბესაძე,*** *თარჯიმან-მთარგმნელი, საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობე-*

ბის მენეჯერი ***– გოჩა გოგუაძე,*** *გამოცემათა ინგლისურენოვანი რედაქტორი* ***– ლიანა შაყულაშვილი,*** *გამომცემლობის რედაქტორი* ***– სესილი ხანჯალაძე);***

– სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის სამსახური *(უფროსი* ***– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ნანა ბიბილაშვილი,*** *მთავარი სპეციალისტი* ***– ნინო კედია,*** *უფროსი სპეციალისტი* ***– ნინელი თხინვალელი,*** *სპეციალისტი* ***– ლია აბრამიშვილი,*** *სპეციალისტი* ***– ანზორ სამხარაძე);***

- **სხვა პერსონალი:**

ინჟინერ-მექანიკოსი ***– თამაზ გველესიანი,*** *ინსპექტორები* ***– არჩილ სამხარაძე, ზურაბ ჯიბლაძე,*** *დამლაგებელი* ***– პეპელა ტაბატაძე.***

ბოლო ათი წლის მანძილზე, მიუხედავად ცნობილი სიძნელეებისა, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტმა, გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების მიღწევისა და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის მიმართულებით, სახელდობრ:

1. 2009 წელს საკუთარი სახსრებით დაარსდა საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“. ჟურნალის რეიტინგის ზრდაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 2016 წლიდან იგი გამოდის როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული (www.ekonomisti.tsu.ge) ფორმით (ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე) და ინდექსირებულია დიდ ელექტრონულ ბაზაში (ERIH PLUS). დღეისათვის გამოცემულია ჟურნალის 50 ნომერი;

2. 2008 წელს საკუთარი სახსრებით დაარსდა პერიოდული გამოცემა „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, რომელშიც იბეჭდება ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა გეგმური შრომები და სხვა სამეცნიერო ნაშრომები თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებზე. დღეისათვის გამოცემულია 11 ტომი;

3. დაარსდა სადისკუსიო დარბაზი, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთელი მეცნიერები (აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა**, **რამაზ აბესაძე**, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **დიმიტრი**

სოროკინი, პროფესორები: **სლავომირ პარტიცკი** (პოლონეთი), **ლევან ეფრემიძე** (აშშ) და სხვა);

4. დაარსდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებისათვის (მიენიჭათ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს **გიორგი პაპავასა** და **როზეტა ასათიანს**); ამჟამად, ინსტიტუტის ინიციატივით, პრემია დაარსდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და მასში მონაწილეობს ყველა მეცნიერი ქვეყნის მასშტაბით. პირველი კონკურსი გაიმართა მიმდინარე წელს პაატა გუგუშვილის სახელობის პრემია მოიპოვეს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **სოლომონ პავლიაშვილმა** და ეკონომიკის დოქტორმა **ზურაბ გარაყანიძემ** მონოგრაფიისათვის – „**საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები და პერსპექტივები"**.
5. ტრადიციად იქცა ინსტიტუტის ორგანიზებით (საკუთარი სახსრებით) საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო კონფერენციების გამართვა (ჩატარდა 8 საერთაშორისო და 2 ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია); გამოიცა კონფერენციის მასალათა 10 კრებული;
6. გაძლიერდა საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობები. ინსტიტუტს კავშირები აქვს ისეთ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებთან, როგორიცაა: კოლუმბიის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისეკონომიკის ინსტიტუტთან, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან და სხვა.
7. შეიქმნა ინსტიტუტის ვებ-გვერდი (www.pgie.tsu.ge) და ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციების ვებ-გვერდი (www. conferenceconomics.tsu.ge);
8. საიუბილეო სხდომებით აღინიშნა ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და 70-ე წლისთავი. ამ თარიღებთან დაკავშირებით, ახალი საარქივო მასალების მოპოვების საფუძველზე, გამოიცა წიგნები: „ეკონომიკის ინსტიტუტი 65“ და „ეკონომიკის ინსტიტუტი 70“;
9. ტრადიციად დამკვიდრდა სახელოვან ქართველ ეკონომისტ მეცნიერთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა (აღინიშნა აკადემიკოსების **პაატა გუგუშვილის** და **ავთანდილ გუნიას**, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ლეო ჩიქავას**, პროფესორების **გიორგი წერეთლის**, **გიორგი პაპავასა** და **თამაზ ჩიკვაიძის**, დაბადებიდან საიუბილეო თარიღები. ეს ღონის-

ძიებები გაშუქდა ტელევიზიასა და პრესაში და გამოიცა წიგნები: **„აკადემიკოსი ავთანდილ გუნია“**, **„პროფესორი გიორგი წერეთელი“**, **„პროფესორი გიორგი პაპავა“**.

*სიმპოზიუმებით აღინიშნა პროფესორების **მიხეილ კახეთელიძის**, **თენგიზ ხოშტარიას**, იოველ ასათიანის, დურსუნ დიასამიძის დაბადებიდან საიუბილეო თარიღები. საიუბილეო სხდომებით აღინიშნა, პროფესორ თინა ჩხეიძისა და აკადემიური დოქტორის ნანული არევაძის, ასევე ინსტიტუტის თანამშრომლების ეკონომიკის დოქტორების რევაზ ჯავახიშვილისა და ლინა დათუნაშვილის დაბადებიდან საიუბილეო თარიღები.*

წარმატებულ მეცნიერთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნის დანიშნულებაა არა მხოლოდ მათი ხსოვნისათვის პატივის მიგება, არამედ, საერთოდ, ეკონომიკური მეცნიერების და, ამასთან ერთად, ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობის პოპულარიზაცია;

10. დაარსდა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის“ რედაქცია. ენციკლოპედიის შექმნა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტს ქვეყნის სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში. ამჟამად მიმდინა- რეობს დამამთავრებელი სამუშაოები ენციკლოპედიის პირველ ტომზე, თუმცა როგორც პრაქტიკამ აჩვენა ენციკლოპედიაზე მუშაობა დიდ დროს მოითხოვს;

11. საკუთარი ძალებით და უნივერსიტეტის დახმარებით გაუმჯობესდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გარემონტდა ინსტიტუტის შენობა, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის კაბინეტი, დაიგო და მოპირკეთდა იატაკი, გარემონტდა სხდომათა დარბაზი, გადაიხურა სახურავის ნაწილი, შემოყვანილ იქნა ბუნებრივი აირი, გაძლიერდა ინსტიტუტის კომპიუტერიზაცია, ინტერნეტით უზრუნველყოფა და სხვა;

ინსტიტუტში ფუნქციონირებს საბუღალტრო აღრიცხვის კურსები;

12. სამეცნიერო და ორგანიზაციული მუშაობის მიხედვით ინსტიტუტი ზედი-ზედ ორჯერ, 2009 და 2010 წლებში, აღიარებული იქნა გამარჯვებულად (როგორც საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია) საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის, რომელსაც ავლენდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნუ-

ლი აკადემია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მას შემდეგ აღნიშნული კონკურსი აღარ ჩატარებულა, ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან შეერთების გამო;

13. მომზადდა რეკომენდაციები, წინადადებები და მოსაზრებები, რომელიც გამოიცა წიგნად – **„საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითა- რების ზოგიერთი მიმართულება: რეკომენდაციები, წინადადებები, მოსაზრებები“**. (თბ., „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2013, რედაქტორი პროფ. **რამაზ აბესაძე**“) და დაეგზავნა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს

*** * ***

ძირითადი დამსახურება ინსტიტუტის თანამედროვე თაობისა არის ის, რომ ინსტიტუტი გადაურჩა დახურვას, თანამშრომელთა დათხოვნას ასაკის გამო, უხელფასობას, შენობის დაკარგვას. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა დაუღალავი მუშაობისა და სწორი პოლიტიკის შედეგად და, რასაკვირველია, საქართველოს განათლების სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელების სამართლიანი გადაწყვეტილების გამო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა: შევიდა ცვლილებები კანონმდებლობაში (განისაზღვრა ინსტიტუტების და მეცნიერთა სტატუსი და სხვა), თითქმის 300 პროცენტით გაიზარდა მეცნიერთა ხელფასი და ა. შ. იმედისმომცემია მთავრობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ განათლების (იგულისხმება მეცნიერებაც) დაფინანსება მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ს მიაღწევს.

*** * ***

წინა ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა მოიცავდა შემდეგ ძირითად პრობლემებს: **საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის თეორიული პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში; თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზები და დაძლევის გზები; პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკაზე გლობალიზაციის გავლენის**

შედეგები; საქართველოს მაკროეკონომიკური, სექტორული, რეგიონული და სტრუქტურული განვითარების აქტუალური პრობლემები; ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში; საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის მიმართულებები და გზები საქართველოში; საქართველოს საფინანსო და საბანკო სისტემის სრულყოფის პრობლემები; საქართველოში უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების მექანიზმის შემუშავება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებებისა და გზების განსაზღვრა; საჯარო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში; მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები საქართველოში; აგრარული სექტორის განვითარების გზები და მიმართულებები საქართველოში და სხვა.

ინსტიტუტის მიერ 2014 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილი იქნა ინსტიტუტის სამოქმედო გეგმა. პროექტის ძირითადი სამეცნიერო კვლევითი თემაა – **„ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში“ (ხელმძღვანელი ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე).** სამოქმედო გეგმამ ექსპერტთა დადებითი შეფასება დაიმსახურა და ინსტიტუტი მე-5 წელია ასრულებს აღნიშნულ პროექტს. დამუშავებული თემები გამოქვეყნდა „თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო შრომათა კრებულში“

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულ იქნა 550-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და ბროშურა, 15-ზე მეტი მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნდა საზღვარგარეთ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალათა კრებულებში სტატიებთან ერთად მრავალი საგაზეთო სტატია და ინტერვიუ გამოქვეყნდა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების **4** ტომი, ჟურნალ ეკონომისტის 19 ნომერი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალათა 7 კრებული და სხვა.

ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა:

ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე **„ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“** და საიუბილეო სხდომა.

ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე **„ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“**.

პროფ. **გ. წერეთლის** დაბადებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია **„ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“** და საიუბილეო სხდომა.

პროფესორ **გიორგი პაპავას** დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია **„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“** და საიუბილეო სხდომა.

მიმდინარე წელს ინსტიტუტის ბაზაზე ჩატარდა პირველი კონკურსი პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად. პრემიის ლაურიატები გახდნენ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **სოლომონ პავლიაშვილი** და ეკონომიკის დოქტორი **ზურაბ გარაყანიძე** მონოგრაფიისათვის – **„საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები და პერსპექტივები".**

აკადემიასთან ერთად მოსმენილი იქნა მოხსენება – „ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები“ (პროფ. **რამაზ აბესაძე**).

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და სადისკუსიო დარბაზის სხდომებზე პერიოდულად მოისმინებოდა სამეცნიერო მოხსენებები.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა (პროფ. **გიორგი ბერულავამ** და აკადემიურმა დოქტორმა **თემურ გოგოხიამ**) მოიპოვეს რუსთაველის ფონდის საერთაშორისო გრანტი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად გაიმართა გაერთიანებული საიუბილეო სხდომა მიძღვნილი აკადემიკოს **ავთანდილ გუნიას** დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი.

ასეთია არასრული ჩამონათვალი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ინსტიტუტის მიერ გაწეული სამუშაოებისა. ინსტიტუტის კოლექტივი მზადაა კიდევ უფრო მეტი შემართებით გააგრძელოს მუშაობა.

*** * ***

დაბოლოს, არ შეიძლება არ ითქვას იმის შესახებ, რომ ინსტიტუტის წარმატებები, უპირველეს ყოვლისა, დამსახურებაა ინსტიტუტის თანამშრომლებისა, როგორც მათი მეცნიერული საქმიანობისა, ისე ურთიერთმხარდაჭერისა და სოლიდარობის, რისთვისაც მათ მადლობა მინდა გადავუხადო.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველა მათ ვინც წინააღმდეგობათა გადალახვასა და წარმატებების მიღწევაში მხარს გვიჭერდა და გვეხმარებოდა. უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ. ყოფილმა ხელმძღვანელობამ (რექტორები: ბატონი **ალექსანდრე კვიტაშვილი** და აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა, კანცლერი – დავით ჩომახიძე**) ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები შენარჩუნებულიყო და განვითარებულიყო. ახალი ხელმძღვანელობა (რექტორი – ბატონი **გიორგი შარვაშიძე,** კანცლერი **–** ქალბატონი **ნუნუ ოვსიანიკოვა**) ყველაფერს აკეთებენ ინსტიტუტების უნივერსიტეტში სრული ინტეგრაციისა და განვითარებისათვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, მისი დეპარტამენტებისაგან ყოველთვის იგრძნობოდა და იგრძნობა თანადგომა და დახმარება.

მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობას (პრეზიდენტი აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე**) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენარჩუნებისა და განვითარების მიმართულებით გაწეული საქმიანობისათვის. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობა მინდა გამოვხატო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებისა და

მისი ხელმძღვანელის, სახელოვანი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს **როინ მეტრეველის** მიმართ, რომელსაც კარგად ესმის ეკონომიკური მეცნიერების წინაშე მდგარი პრობლემები და ყოველმხრივ თანადგომას გამოხატავს მათ გადასაჭრელად.

მადლობა მინდა გადავუხადო ეკონომიკურ საზოგადოებას, აკადემიკოს **ავთანდილ სილაგაძისა** და სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოს **ნოდარ ჭითანავას** მეთაურობით, რომელთა გვერდში დგომა და დახმარება ჩვენთვის შეუფასებელია.

მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხელმძღვანეობასა (პროფესორი **გიორგი ღაღანიძე**) და პროფესურას მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ასევე ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლების თანადგომა, რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში. დიდი მადლობა მათ.

მადლობა და არდავიწყება ამ ქვეყნიდან წასულ ინსტიტუტის თანამშრომლებს.

*** * ***

ინსტიტუტის 75-ე წლისთავზე ახლანდელ თაობას შეუძლია იამაყოს, რომ მათ, სერიოზული საფრთხეების მიუხედავად, შეძლეს არათუ შეენარჩუნებინათ ინსტიტუტი და წინაპართა ტრადიციები, არამედ კიდევ უფრო გაეძლიერებინათ და გაემდიდრებინათ იგი.

კიდევ უფრო დიდი წარმატებები ვუსურვოთ მას მომავალში.

რამაზ აბესაძე

ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს

თავმჯდომარე, ემდ, პროფესორი

PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS — 75

The Institute was founded in 1944 by the Academy of Sciences of Georgia, the founders were (including the first scientific council) Academicians: Paata Gugushvili, Simon Janashia, Niko Ketskhoveli, Irakli Mikeladze, Professors: Philippe Gogichaishvili, Giorgi Gekhtman, Nikoloz Koiava and others.

The initiator and first director of Institute was academician Paata Gugushvili (he made a special and huge contribution to the theoretical and practical problems of political economy, history of public and political opinion, sociology, demography, bibliology and other). The following director was academician Avtandil Gunia (his works were dedicated to economic growth and problems during the transition to market economy). Academician Vladimer Papava was the next director (he made a special contribution to the development of economic theory, mathematical modeling of economy, macroeconomics, economic theory and the post-communist transformation as so as his works were focused on the economic development of Georgia and the whole Caucasus region.) The fourth director of Institute was professor Giorgi Tsereteli (his important contributions are put to the economic and mathematical issues, economic and environmental points, and economic development in the macroeconomic theory, formation and development of market economy and so on). Nowadays director of Institute is professor Ramaz Abesadze (who has contributed to the development of theoretical and applied problems of macroeconomics, usage of natural resources and development of environmental economics, market economy, economic development and economic regression).

The Deputy Directors of Institute were: corresponding member of the Academy of Sciences of Georgia Leo Chikava; Doctors of Economic Sciences, Professors: Tamaz Chikvaidze, Bekirbi Khasia, Teimuraz Beridze; Doctor of Economics: Tengiz Khoshtaria and Tamaz Akubardia. Currently, the deputy director of Institute is Zurab Tsereteli.

The principals of the scientific board in Institute until 2006 had been its directors. In 2007-2013 professor Tina Chkheidze was a chair of the scientific board. Currently, professor Ramaz Abesadze is chairman of the scientific board.

The fruitful scientific activities and works have been carried out by the staff of Institute, Academicians: Vasil Chantladze, Leo Chikava, Valerian Melkadze; Doctors of Sciences, Professors: Roseta Asatiani, Iovel Asatiani, Ioseb Badjadze, Valerian Bakhtadze, Givi Bedianashvili, Sergi Beradze, Temur Beridze, Giorgi Berulava, Alexander Bregvadze, Vakhtang Burduli, Tamaz Chikvaidze, Tinatin Chkheidze, Valerian Datukishvili, Amiran Djibuti, Mikheil Djibuti, Kirill Ghoghoberidze, Philippe Gogichaishvili, Revaz Gogokhia, Mikheil Gvelesiani, Niko Iashvili, Akaki Kakabadze, Mikheil Kakhetelidze, Luarsab Karbelashvili, Rafael Kharbedia, Bekirbi Khasia, Dimitri Koridze, Alfred Kuratashvili, Murman Kvaratskhelia, Paata Leiashvili, Ramin Mitaishvili, Apolon Nutsubidze, Giorgi Papava, Vladimer Papava (elder), Mikheil Roketlishvili, Ushangi Samadashvili, Archil Stepanishvili, Avtandil Sulaberidze, Archil Tetrauli, Nikoloz Tkeshelashvili, Mikheil Tokmazishvili, Anzor Totadze, Ketevan Tsiklauri ; Academic Doctors of Economics: Robert Aburjanidze, Tamaz Akubardia, Nanuli Arevadze, Otar Avalishvili, Tsiala Benashvili, Nana Bibilashvili, Gia Bregvadze, Shalva Burduli, Elene Chikovani, Khvtiso Darispanashvili, Lina Datunashvili,Nata Davlasheridze, Dursun Diasamidze, Merab Gvelesiani, Lili Gvenetadze, Leila Gugushvili, David Japaridze, Revaz Javakhishvili, Eter Kakulia, Yuri Kapanadze, Grigol Karchava, Tengiz Kavtaradze, Bidzina Kelenjeridze,Roman Kharbedia, Guram Khasia, Tengiz Khoshtaria, Mamuka Khuskivadze,Nunu Kistauri,Tinatin Kurdadze, David Kurtanidze, Tea Lazarashvili, Shura Margvelashvili,Valentina Misina,Marine Muchiashvili, Iza Natelauri, Vladimer Papava (elder) Zurab Revishvili, Roland Sarchimelia, Dali Shengelia, Natia Shiolashvili,Aziko Sisvadze, Sergo Soselia,Zurab Soselia, Gia Topuria, Alexander Tsereteli, Marine Tsutskiridze, Nodar Ulumberashvili, Nukri Zakariadze, Bondo Zarnadze; Masters of Economics: Lia Dvalishvili, Medea Melashvili, Zurab Nozadze,Tamuna Tapladze, Tsitsino Tetrauli.

Creation of the Institute of Economics had given the great impulse for development of economic science in Georgia as well as for strengthening scientific research and training of scientific and research personnel. In spite of the fact that this field of science had been under a great ideological pressure, it was still possible to conduct research on general economics, including problems of market economy. Certainly for that fact is a fundamental research of academician Paata Gugushvili – “Economic Development of Georgia and Transcaucasus in XIX-XX “as so as the works in the fields of terminology, demographic issues and other.

The scientific staff of Institute have published many works. Among them should be marked out the works of academicians: Paata Gugushvili, Avtandil Gunia and Vasil Chantladze, Vladimer Papava and the correspondent-member of Georgian Academy of Sciences Leo Chikava, professors: Giorgi Tsereteli, Ramaz Abesadze, Giorgi Papava, Rozeta Asatiani, Tamaz Chikvaidze, Alfred Kuratashvili, Vakhtang Burduli, Giorgi Berulava, Murman Kvaratskhelia as so as other monographs and materials.

An important factor is also publication of collections of works: "The Works of Institute of Economics" (editor-in-chief Paata Gugushvili), "Economy", "Concept of Development of the Economy of Sovereign Georgia" (managed by academician Avtandil Gunia), "Conceptual and Normative Model of Economically Independent Georgia" (managed by professor Vladimer, Papava), "Concept of Transition to a Market Economy in Georgia" (managed by professor Vladimer Papava); "Problems of Development of Market Economy" (editor-in-chief- professor Giorgi Tsereteli), "Collection of Scientific Works of Paata Gugushvili Institute of Economics" (editor-in-chief- professor Ramaz Abesadze), volumes, as well as published opinions, proposals, and recommendations – "Some Directions of Economic and Social Development of Georgia" (editor-in-chief- professor Ramaz Abesadze); Collections of International Scientific Conferences (editor-in-chief- professor Ramaz Abesadze).

Nowadays the works of our scientists are focused and divided into two major fundamental (theoretical) and applied directions. At present, the Institute works on a seven-year project – "Eurointegration and Problems of Forming Innovative Economy in Georgia"

During the last ten years a significant contributions have been made to the international recognition of Institute activities:

- Almost tripled the number of published works (monographs, brochures, scientific and publicistic articles, many of them are published abroad, including in journals that have the Impact Factor);
- The Institute had been announced and rewarded twice (in 2009 and 2010) as the best scientific- research institute of the year. (After that date the competition had not been held, due to the merger of scientific institutes with universities);
- Employees of Institute have obtained many scientific grants for research;

- Different international scientific events are held annually in Institute;
- In March 2019 Institute became a full member of the United Nations Sustainable Development Solutions Network (UN SDSN).
- In 2009 was created the discussion hall that is actively attended by the best representatives of our country's economists and practitioners.
- The scientific staff of Institute are members of scientific editorial councils and scientific communities in the national and foreign organizations.
- By the initiative of our Institute, the academic council of TSU has founded the scientific award in economics dedicated to academician Paata Gugushvili;
- The Institute prepares for publishing the "Big Georgian Economic Encyclopedia"
- The material and technical base of Institute has been strengthened and so on.
- In the current year, by initiative of the senior UN advisor, a world renowned professor of economics, honorable doctor of Tbilisi State University – Jeffrey D. Sachs, our Institute became a full member of the United Nations Sustainable Development Solutions Network

(UN SDSN).

However, the main merit of the modern generation of Institute's scientists is that in spite of many economic and political problems of our country, our Institute has been survived, it hadn't made the dismissal of the staff, we kept on the Institute's historical building, and enhanced and strengthened the rich scientific traditions of our Institute.

Ramaz Abesadze

Professor, Doctor of Economics

Chairman of Scientific Council,

Director of Institute

ИНСТИТУТ ЭКОНОМИКИ ИМИНИ ПААТА ГУГУШВИЛИ — 75

Институт был создан в 1944 году в системе Академии Наук Грузии. У истоков Института стояли: (в первый научный совет входили) Академики: Паата Гугушвили, Симон Джанашия, Нико Кецховели, Ираклий Микеладзе; Профессора: Филипп Гогичайшвили. Георгий Гетхман, Николоз Коява и др. Инициатором основания и первым директором Института был академик Паата Гугушвили (ему принадлежит особый вклад в деле обработки теоретических и практических вопросов политэкономии, истории общественной и политической мысли, социологии, демографии, библиологии и др). Последующими директорами Института были: академики Автандил Гуния (его труды посвящены темпам и пропорциям экономического роста, проблемам перехода к рыночной экономике), Владимер Папава (внес особый вклад в разработку и в креативное развитие вопросов экономической теории и математического моделирования экономики, макроэкономики, теории посткоммунистической трансформации экономики Грузии и Кавказа), Профессор Георгий Церетели (значителен его вклад в деле разработки экономико-математических, экономико-экологических и макроэкономических проблем и экономической теории, а также проблем формирования и развития рыночной экономики. На сегодняшний день Институт возглавляет профессор Рамаз Абесадзе (внесший значителный вклад в разработку теоретических и прикладных проблем макроэкономики, природопользования и экономики защиты окружающей среды, рыночной экономики, экономического развития и экономического регресса).

Заместителями директора Института были: член-корреспондент Академии наук Грузии Лео Чикава; доктора экономических наук, профессора: Тамаз Чикваидзе, Бекирби Хасия, Теймураз Беридзе; доктора экономики: Тенгиз Хоштария и Тамаз Акубардия. В настоящее время заместителем директора института является Зураб Церетели.

До 2006-го года руководителями научного совета Института были его директора. В 2007-2013 гг. руководителем научного совета

была профессор Тина Чхеидзе. На сегодняшний день совет возглявляет профессор Рамаз Абесадзе.

Плодотворную научную работу проводили и проводят научные сотрудники Института, академики: Валериан Мелкадзе, Василий Чантладзе, Член-корреспондент Академии наук Грузии Лео Чикава; доктора наук, профессора: Розета Асатиани, Иовел Асатиани, Валериан Бахтадзе, Иосиф Баджадзе, Гиви Бедианашвили, Серги Берадзе, Теймураз Беридзе, Гиоргий Берулава, Александр Брегвадзе, Вахтанг Бурдули, Михаил Гвелесиани, Филип Гогичайшвили, Кирил Гогоберидзе,Реваз Гогохия, Валериан Датукишвили,Реваз Джавахишвили, Амиран Джибути, Михаил Джибути, Нико Иашвили,Акакий Какабадзе,Луарсаб Карбелашвили,Михаил Кахетелидзе,Мурман Кварацхелия,Дмитрий Коридзе, Альфред Кураташвили, Паата Леиашвили,Рамин Митаишвили, Аполон Нуцубидзе, Владимер Папава (старший) Гиоргий Папава,Михаил Рокетишвили, Ушанги Самадашвили, Арчил Степанишвили, Автандил Сулаберидзе, Арчил Тетраули, Николоз Ткешелашвили,Анзор Тотадзе, Михаил Токмазишвили, Рафаэль Харбедия, Бекирби Хасия, Кетеван Циклаури, Тамаз Чикваидзе, Тинатин Чхеидзе, ; Академические доктора наук: Роберт Абурджанидзе, Отар Авалишвили, Тамаз Акубардия, Нанули Аревадзе, Циала Бенашвили, Нана Бибилашвили, Шалва Бурдули, Гия Брегвадзе, Мераб Гвелесиани, Лили Гвенетадзе,Лейла Гугушвили, Ната Давлашеридзе, Лина Датунашвили, Дурсун Диасамидзе, Бондо Зарнадзе, Нукри Закариадзе, Тенгиз Кавтарадзе,Этер Какулия, Юрий Капанадзе,Григол Карчава, Бидзина Келенджеридзе, Нуну Кистаури,Тинатин Курдадзе,Давит Куртанидзе, Тэа Лазарашвили, Шура Маргвелашвили, Валентина Мишина,Марина Мучиашвили, Иза Нателаури, Владимер Папава (старший), Зураб Ревишвили, Роланд Сарчимелия, Азико Сисвадзе, Серго Соселия, Зураб Соселия, Гия Топурия,Нодар Улумберашвили, Роман Харбедия, Гурам Хасия, Тенгиз Хоштария,Мамука Хускивадзе, Марине Цуцкиридзе, Дали Шенгелия, Елене Чиковани, Натиа Шиолашвили, Александр Церетели, ; магистранты: Лия Двалишвили, Медеа Мелашвили,Зураб Нозадзе, Тамуна Тапладзе, Цицино Тетраули.

Создание Института экономики дало сильный импульс развитию экономической науки в Грузии, Как по усилению научных исследований, так и по подготовке научных кадров. Несмотря на то, что эта отрасль науки была полностью идеологизирована, все же уда-

валось проводить исследования по общей экономике, в том числе, по вопросам рыночной экономики. Потверждением этому служит фундаментальное исследование проведенное академиком Паата Гугушвили – “Экономическое развитие Грузии и Закавказья в XIX–XX веках”, а также работы в области терминологии и демографии и др. Большая заслуга Института и в деле подготовки научно-педагогических кадров.

Сотрудниками Института опубликованы многие труды, среди них особенно следует выделить работы академиков: Паата Гугушвили, Автандила Гуния, Василия Чантладзе, Владимера Папава и члена-корреспондента Академии Наук Грузии Лео Чикава, а также профессоров: Гиоргия Церетели, Рамаза Абесадзе, Георгия Папава, Розеты Асатиани, Тамаза Чикваидзе, Альфреда Кураташвили, Вахтанга Бурдули, Гиоргия Берулава, Мурмана Кварацхелия и др.

Важным фактором также является издание сборников: “Научные Труды Института Экономики” (гл.Редактор академик Паата Гугушвили), “Экономика”, «Концепция развития экономики суверенной Грузии» (Руководитель- академик Автандил Гуния), «Концептуально-нормативная модель экономически независимой Грузии» (Руководитедь-профессор Владимер, Папава) и «Концепция перехода к рыночной экономике в Грузии» (Руководитель- профессор- Владимер Папава); “Проблемы Развития Рыночной Экономики в Грузии” (гл. Редактор профессор Георгий Церетели), “Научные Труды Института Экономики имени Паата Гугушвили” (гл. Редактор профессор Рамаз Абесадзе), а также “Некоторые Направления Экономического и Социального Развития Грузии” (гл. Редактор профессор Рамаз Абесадзе),

На сегодняшний день научная работа ученых Института сфокусированна на двух основных направлениях- фундаментальное (теоретическое) и практическое. Институт работает над семилетним проектом – “Евроинтеграция и Проблемы Формирования Инноавционной Экономики в Грузии”.

За последние 10 лет была проделана значительная работа в процессе международного признания нашего Института:

– Почти утроилось количество опубликоавнных работ (монографии, брошюры, научные и публицистические статьи), большая

часть которых опубликоавана за рубежом, в том числе в журналах имеющих "Impact Factor ";

– Дважды, в 2009 и 2010-ых годах, Институт был признан лучшим научно-исследовательским учреждением года.

(В последующие годы конкурс не проводился, в связи с слиянием институтов с университетами);

– Ученые Института неоднократно получали научные гранты;

– В Институте ежегодно проводятся международные научные мероприятия.

– Издаются:

1. Международный научно-аналитический, трехязычный, печатно-электронный журнал "Экономисти"

   учрежден в 2009 году). Журнал индексирован в поисковой базе – ERIH PLUS. В научно-редакторский совет журнала входят известные ученые мира.

2. Периодическое издание – "Сборник Трудов Института Экономики имени академика Паата Гугушвили " (создано в 2008 году).
3. Сборники печатно-электронных материалов международных научных конференций.
4. Электронныие сборники материалов международных интернет-конференций.
5. Юбилейные брошюры и др.

– В 2009 году был создан дискуссионный клуб Института, в работе которого участвуют известные ученые экономисты;

– Углубились научно-исследовательские связи с зарубежными коллегами.

– Ученые Института являются членами редакционных коллегий (советов) местных и международных организаций;

– По инициативе Института, научный совет ТГУ учредил научную премию в области экономической науки имени академика Паата Гугушвили;

– Институт подготавливает к изданию «Большую Экономическую Энциклопедию Грузии»:

– Укрепилась и материально-техническая база Института:

– В этом году, по инициативе специального советника Генерального Секретаря ООН, выдающегося ученного, почетного доктора ТГУ- профессора Джеффри Сакса, наш Институт стал полноправным членом международной сети ООН по продвижению решений и реализации целей в области устойчивого развития:

К 75-и летию Института его нынешнее поколение может гордиться тем, что Институт не только сохранил имеющиеся традиции, но и укрепил и преумножил их, несмотря на вызовы и трудности, стоящими перед ним.

Рамаз Абесадзе

Профессор, Доктор Экономических Наук,

Председатель Научного Совета,

Директор Института

მილოცვები

უნივერსიტეტის სახელით ვულოცავ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს 75 წლის იუბილეს!

გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაარსებული ინსტიტუტი, ყოველთვის ანგარიშგასაწევი სამეცნიერო კერა იყო. მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტი ყოველთვის ფეხს უწყობს თანამედროვეობას, წარმატებით პასუხობს ახალ გამოწვევებს, ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში: გამოიცემა ჟურნალი „ეკონომისტი", რომელიც ERIH PLUS-is ბაზაშია ინდექსირებული და რომლის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოში იმყოფებიან მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები; გამოიცემა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომებისა და საერთაშორისო კონფერენციების მასალათა კრებულები; ინსტიტუტის ინიციატივით ტარდება საერთაშორისო დონის კონფერენციები, ღრმავდება ინტეგრაციული პროცესები მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან.

მიმდინარე წელს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური მრჩევლის, გამოჩენილი მეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ჯეფრი საქსის, ინიციატივით ინსტიტუტი გახდა გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტილებების საერთაშორისო ქსელის სრულუფლებიანი წევრი. ამით მას შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს მსოფლიოში მდგრადი განვითარების საქმეში, რისი დადასტურებაცაა ინსტიტუტის თემატიკაში მდგრადი განვითარების პრობლემატიკის ასახვა, შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და მიმდინარე წელს საერთაშორისო კონფერენციის გამართვა „მწვანე" ეკონომიკის საკითხებზე.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო საქმიანობაში!

გიორგი შარვაშიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 75 წლის იუბილე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს გულითადად ვულოცავ სახელოვან იუბილეს – დაარსებიდან 75 წლისთავს.

სასიამოვნოა იმის ხაზგასმა, რომ ინსტიტუტმა ფეხი აიდგა და ეკონომიკის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულების მსხვილ სამეცნიერო კვლევით ცენტრად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიაღში ჩამოყალიბდა, რომლის სათავეებთან გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი იდგა.

საყოველთაოდ აღიარებულია ინსტიტუტის თვალსაჩინო წვლილი ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში, ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კვლევაში, განუზომელი ღვაწლი დასდო ახალი ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავების, ეკონომიკური წყაროების მეცნიერული პუბლიკაციის საქმეს და ა. შ.

დიდი მისია ეკისრება ინსტიტუტს დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების წინაშე მდგარი გამოწვევების დაძლევაში. ინსტიტუტი წარმატებით განაგრძობს მოღვაწეობას და თანამედროვე მეცნიერული კვლევებით მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის წინსვლას მდგრადი განვითარების გზაზე.

ახალი და საერთაშორისო დონეზე აღიარებული მიღწევებით ხელდამშვენებული ხვდება ინსტიტუტის კოლექტივი საიუბილეო თარიღს. ვუსურვებ მას წარმატებას და შემოქმედებით გამარჯვებებს.

გიორგი კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი

მილოცვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს

საიუბილეო თარიღს, დაარსებიდან 75 წელს, ვულოცავ ეკონომიკის დარგში საქართველოს ერთ-ერთ სამეცნიერო კერას უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებაში აღიარებულ მოწინავე კვლევით ცენტრს, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს. ინსტიტუტი წლების განმავლობაში აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში, გამოსცემს საერთაშორისო სტატუსისა და მნიშვნელობის ნაშრომებს, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო ფორუმებს, შეკრებებს და ყოველივე ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებაში, ისე საქართველოს ეკონომიკის განვითარების სფეროში.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს გვსურს გამოვხატოთ განსაკუთრებული პატივისცემა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მეცნიერების მიმართ, რადგან სწორედ ისინი, თავიანთი პროფესიონალიზმითა და დაუღალავი შრომით, ხელმძღვანელობასთან ერთად, ქმნიან ინსტიტუტის წარმატებულ ისტორიას და კვლავაც იქნებიან აღმზრდელები არაერთი თაობისა, რომლებიც ღირსეულად გააგრძელებენ არსებულ ტრადიციებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ როგორც ეკონომიკის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო მიღწევებში, ისე ქვეყნის განვითარებაში.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ სამომავლო წინსვლას უნივერსიტეტისა და საქართველოს საკეთილდღეოდ.

ნუნუ ოვსიანიკოვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

წარმატებებსა და წინსვლას გისურვებთ

75 წლისაა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კვლევითი დაწესებულება – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. დაარსების უმალ ინსტიტუტს ეკონომიკური პრობლემების შესწავლა დაევალა. პრობლემები კი იმ დროს მნიშვნელოვანი იყო. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. აქ ჩატარებული კვლევები რეალურად ეხმარებოდა სახელმწიფოს განვითარებას, მის წინსვლას. ნიშანდობლივია, რომ 1957 წელს ინსტიტუტში შეიქმნა სამართლის განყოფილება, რომელიც შემდგომში სამართლის სექტორად გარდაიქმნა (ინსტიტუტსაც ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი ეწოდა). გარკვეული დროის შემდეგ სამართლის მეცნიერება ცალკე კვლევით ცენტრად ჩამოყალიბდა. ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებამ აშკარად დაინახა იმ დიდი შრომის შედეგი, რომელსაც ინსტიტუტი ეწეოდა. აქ წარმატებით შეისწავლიდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ პრობლემებს, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის, ფინანსებისა და აღრიცხვის, მათემატიკური სტატისტიკის, ეკონომიკური კიბერნეტიკის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული კვლევა მაღალი მეცნიერული დონით გამოირჩევა. ინსტიტუტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ზოგიერთ სხვა სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად დიდი ამაგი დასდო კადრების აღზრდას ეკონომიკაში.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ხელი შეუწყო მძლავრი ეკონომიკური სკოლის ჩამოყალიბებას. დიდია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ღვაწლი ინსტიტუტის განვითარების საქმეში, ქვეყნის წინაშე მდგარი სამეცნიერო-ეკონომიკური საკითხების კვლევაში. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ამ დიდი მეცნიერის სახელს ატარებს ეკონომიკის ინსტიტუტი. დიდი ამაგი დასდო ზოგადად ეკონომიკის დარგის განვითარებასა და ინსტიტუტის წინსვლას აკადემიკოსმა ავთანდილ გუნიამ. ახალი ენერგია შთაბერა კვლევას და ინსტიტუტის სახელის ფართოდ გატანას საერთაშორისო მასშტაბით აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. გარკვეული წვლილი შეიტანა საქმის წინსვლაში პროფესორმა გიორგი წერეთელმა.

უნდა აღვნიშნოთ ახლანდელი ხელმძღვანელის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის ღვაწლი ამ საქმეში.

გულწრფელად ვულოცავ საქართველოს ეკონომისტებს, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს, ქართველ მეცნიერებს – მნიშვნელოვან საეტაპო თარიღს – ინსტიტუტის 75-ე წლისთავს.

წარმატებებსა და წინსვლას გისურვებთ.

როინ მეტრეველი

აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა

ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

მილოცვა

ქალბატონებო და ბატონებო,

2019 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი დაარსების 75 წელს აღნიშნავს. 1944 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ინსტიტუტის დაარსების ინიციატორი და 32 წლის მანძილზე მისი უცვლელი დირექტორი – ცნობილი ქართველი ეკონომისტი, მკვლევარი და პედაგოგი, აკად. პაატა გუგუშვილი იყო. შემდგომ წლებში ინსტიტუტს წარმატებით ხელმძღვანელობდნენ აკად. ავთანდილ გუნია (1976-1991), აკად. ვლადიმერ პაპავა (1991-1996), პროფ. გიორგი წერეთელი (1996-2008), ხოლო 2008 წლიდან ინსტიტუტის დირექტორია პროფ. რამაზ აბესაძე.

75 წელი – ვისთვის ბევრია და ვისთვისაც ძალიან ცოტა... ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში, რამაც სამეცნიერო კვლევების გაძლიერებასა და წარმატებული სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების აღზრდას შეუწყო ხელი. ინსტიტუტის მკვლევართა მიერ განვლილი გზა

ნათლად მეტყველებს მეცნიერებაში, განათლებასა და საზოგადობრივ საქმიანობაში მიღწეულ წარმატებებზე. მათ მიერ მომზადებული გამოცემები კი დიდი ხანია სამაგიდო ნაშრომებად იქცა, არა მხოლოდ ქართული მეცნიერებისათვის.

იუბილეს ეკონომიკის ინსტიტუტი კვლავ წარმატებებით ხვდება: ბოლო ათი წლის განმავლობაში თითქმის გასამმაგდა გამოცემული ნაშრომების რაოდენობა, რომელთაგან დიდი ნაწილი გამოცემულია საზღვარგარეთ, მათ შორის, იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში; თანამშრომლებმა მოიპოვეს არაერთი სამეცნიერო გრანტი; ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები. საამაყოა, რომ 2009 წლიდან გამოიცემა საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური სამენოვანი, ბეჭდურ-ელექტრონული ჟურნალი «ეკონომისტი», რომელიც ინდექსირებულია საძიებო ბაზაში – ERIH PLUS.

ინსტიტუტი, აგრძელებს რა აკად. პაატა გუგუშვილის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებს – კვლავ აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კერძოდ – 2009 წელს დაფუძნდა ინსტიტუტის სადისკუსიო დარბაზი, რომელშიც მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერ და პრაქტიკოს ეკონომისტთა საუკეთესო წარმომადგენლები და პროგრესული იდეების ეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში დამკვიდრების საუკეთესო მაგალითს იძლევა.

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ ხანგრძლივ და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას, რადგან თქვენი ცოდნა და გამოცდილება, კიდევ დიდხანს დასჭირდება ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას საკუთარი რესურსების ბოლომდე შესაცნობად და ასამოქმედებლა

პატივისცემით,

ნინო ოკრიბელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე

ჩემი მშობლიური ინსტიტუტი 75 წლისაა

საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების ინსტიტუციური ფორმირება უკავშირდება 1918 წელს ტფილისის უნივერსიტეტის შექმნას, რომლის ბაზაზეც იშვა სხვა უმაღლესი სასწავლებლები და საქართველოს მეციერებათა აკადემია.

უკვე 75 წელია, რაც საქართველოს მეციერებათა აკადემიაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელიც თითქმის სამი ათეული წელია მისი დამაარსებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელს ატარებს.

შექმნის დღიდან მოყოლებული ეკონომიკის ინსტიტუტი გადაიქცა ეკონომიკური მეცნიერების ძლიერ ცენტრად. მისი წვლილი საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკური ისტორიის გაღრმავებულ კვლევაში, ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებასა და დახვეწაში განუზომლად დიდია. არანაკლებ საყურადღებოა, რომ ინსტიტუტში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის თაოსნობით დაიწყო საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების კვლევა, რაც საბოლო ჯამში გახდა იმის საფუძველი, რომ ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების ბაზაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დემოგრაფიის ინსტიტუტი შექმნილიყო.

ეკონომიკის ინსტიტუტის როლი განსაკუთებით გამოიკვეთა საქართველოს მიერ სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, როცა დღის წესრიგში დადგა მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემების შესწავლა. სწორედ დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოში გახდა შესაძლებელი ეკონომიკის ინსტიტუტს დარქმეოდა მისი დამფუძნებლის, აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** სახელი.

რთული პერიოდის გავლა მოუწია პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს „ნაციონალური“ მმართველობის პერიოდში, როცა არაერთი სამეცნიერო დაწესებულება დაიხურა, ხოლო გადარჩენილებს შორის ყველამ ვერ შეძლო შენობის შენარჩუნება. სწორედ ამ რთულ სიტუაციაში საქართველოში დაიხურა ეკონომიკური პროფილის ყველა ინსტიტუტი ერთის – ჩვენი ინსტიტუტის გარდა. ეს სწორედ ამ ინსტიტუტის კოლექტივის და მისი ხელმძღვანელობის დამსახურებაა!

ბოლო წლებში პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქოლგის“ ქვეშაა და პრაქტიკულად შექმნილია თითქმის ყველა პირობა სამეცნერო-კვლევითი საქმიანობისათვის. ინსტიტუტი გამოსცემს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალს, შრომების ყოველწლიურ კრებულს, მონოგრაფიებს, ყოველწლიურად ატარებს წარმომადგენლობით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, რომელთაგან ერთი ელექტრონულია.

ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობა უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკის ინსტიტუტთან. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე სწორედ ამ ინსტიტუტში, რომელმაც გამაგზავნა მიზნობრივ ასპირანტურაში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში. თბილისში დაბრუნების შემდეგ, ეკონომიკის ინსტიტუტში გავიარე უმცროსი, უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერ თანამშრომლის ყველა სამეცნიერო თანამდებობა. დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოში კი ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივმა ნდობა გამომიცხადა და ამირჩია ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე.

მე დღესაც ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ვარ, რითაც დაუფარავად ვამაყობ.

ვულოცავ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს, მის კოლექტივს და ხელმძღვანელობას 75 წლის იუბილეს და ვუსურვებ ახალ შემოქმედებით წარმატებებს ეკონომიკური მეცნიერებისა და ჩვენი ქვეყნის სამსახურში.

აკადემიკოსი **ვლადიმერ (ლადო) პაპავა**

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის მესამე დირექტორი
24 მაისი, 2019 წელი

ვულოცავ ეკონომიკის ინსტიტუტს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 75 წელი შეუსრულდა. ინსტიტუტმა, რომელიც დაარსდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით, საქმიანობის ღირსეული გზა განვლო.

ბატონი პაატას მიერ დამკვიდრებული ტრადიციები სხვადასხვა წლებში წარმატებით განვითარდა ინსტიტუტის დირექტორების – აკადემიკოს **ავთანდილ გუნიას**, აკადემიკოს **ვლადიმერ პაპავას**, პროფესორ **გიორგი წერეთლის**, ბოლო წლებში კი პროფესორ **რამაზ აბესაძის** ხელმძღვანელობით.

შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკაში-მეცნიერებაში მიღწეულ რაიმე წარმატებაზე საუბარი ინსტიტუტის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობის გარეშე.

წილად მხვდა პატივი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დავალებით, ბოლო წლებში უფრო ღრმად გავცნობოდი ინსტიტუტის წლიურ ანგარიშგებებს. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად დიდი სირთულეებისა, ინსტიტუტი და მისი მაღალპროფესიონალთა გუნდი ქვეყნისათვის – ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის მეტად სასარგებლო – პროდუქტიულ საქმიანობას ეწევა.

ვულოცავ ინსტიტუტის კოლექტივს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებ კიდევ მეტ შემოქმედებით წარმატებებს.

აკადემიკოსი **ავთანდილ სილაგაძე**

2019 წელი

ვალმოხდილი იუბილარი

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 75 წელი შეუსრულდა. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კერძოდ, ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

ინსტიტუტი შეიქმნა საგანგებო ვითარებაში, მეორე მსოფლიო ომის დროს, მასზე აისახა მკაცრი ეპოქის მოთხოვნებიც, მიუხედავად დიდი სირთულეებისა, იგი ეროვნულ ეკონომისტთა კადრების აღზრდის აღიარებულ სკოლად ჩამოყალიბდა. იგი ყოველთვის სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრივ მაღალი ნდობით გამოირჩეოდა. დღეს სიამაყით ვამბობთ ინსტიტუტმა 75 წლის მანძილზე დაადასტურა, რომ იგი ქვეყნის სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი საიმედო კერაა.

ინსტიტუტის ფორმირება-განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს მისმა ხელმძღვანელებმა: აკადემიკოსებმა პაატა გუგუშვილმა – როგორც ნოვატორმა მეცნიერმა, ინსტიტუტის ფაქტობრივად დამფუძნებელმა, ავთანდილ გუნიამ, აღიარებულმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ, ვლადიმერ პაპავამ, რომელიც დღეს ქვეყანაში ცნობილია როგორც ეროვნული ეკონომიკური მეცნიერების ლიდერი, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, 90-იანი წლებიდან – პროფესორმა გიორგი წერეთელმა, რომელმაც პიროვნული ხიბლითა და ეროვნული პასუხისმგებლობით ექსტრემალურ პირობებში – საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ ეტაპზე, ღირსეულად გაართვა თავი დროის მკაცრი მოთხოვნებით დასმულ ამოცანებს. ვამაყობთ იმით, რომ დიდი ტრადიციების სამეცნიერო დაწესებულებას, უნარიანად ხელმძღვანელობს ჩვენი კოლეგა, აღიარებული მკლევარი და მეცნიერების თვალსაჩინო ორგანიზატორი რამაზ აბესაძე. მისი განსაკუთრებული დამსახურებაა ის, რომ ყოველმხრივ განამტკიცა და გაათანამედროვა წლების მანძილზე კოლექტივის მოღვაწეობის მდიდარი ტრადიციები და სახელოვან იუბილეს ინსტიტუტი ხვდება ქვეყნისა და მეცნიერების წინაშე ვალმოხდილი, დამაჯერებელი ოპტიმიზმით, ეროვნული ეკონომიკის აღორძინების სულისკვეთებით.

დღეს, როცა ინსტიტუტი ერთადერთია ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო დაწესებულებებს შორის, რომელსაც გააჩნია მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვანი მარაგ-ნაკეთი (სამწუხაროდ, იგი სრულად არ გამოიყენება), ყველასაგან, განსაკუთ-

რებით სახელმწიფოსაგან და ეკონომიკური საზოგადოებისაგან საჭიროებს ყოვემხრივ მხარდაჭერას.

წარმატებას ვუსურვებთ ქართული ეკონომიკური მეცნიერების ფლაგმანს – პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს, რომელსაც დრომ დააკისრა ურთულესი ამოცანა – მომავალშიც ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად წარმართოს ეროვნული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი.

ნოდარ ჭითანავა

საქართველოს სოფლის მეურნეობის
აკადემიის აკადემიკოსი

მილოცვა

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 75 წელი შესრულდა. მეორე მსოფლიო ომის წლებში 1944 წლის 29 ივნისს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი აქვს შეტანილი საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ: პაატა გუგუშვილი, აკაკი კაკაბაძე, ნოკოლოზ იაშვილი, ივანე ჯანაშია, და სხვა. ფასდაუდებელია მათ მიერ ამ პერიოდში შესრულებული კვლევები. ინსტიტუტის კედლებში, როდესაც ფუნქციონირებდა ასპირანტურისა და სამეცნიერო ხარისხების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭო, მრავალი ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტი აღიზარდა.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მძიმე პერიოდში ინსტიტუტს არ შეუწყვეტია მუშაობა და ცდილობდა წარმატებით გაეგრძელებინა ის დიდი ტრადიციები, რომელიც ამ ინსტიტუტის დაარსებიდან ჩამოყალიბდა. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალ

„ეკონომისტის“ გამოშვებაც, რომელიც 2008 წელს სსიპ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით იქნა დაარსებული, გამოდის 2019 წლიდან და დღემდე გამოიცემა როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით და განთავსებულია ელექტრონულ ბაზებში.

2011 წლიდან პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში და ნაყოფიერად თანამშრომლობს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან.

გულითადად ვულოცავ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთელ კოლექტივს ღირშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებ წარმატებულ მუშაობას კიდევ მრავალი წლის განმავლობაში.

გიორგი ღაღანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დეკანი, პროფესორი

მილოცვა

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი წარმატებით აგრძელებს იმ მდიდარ სამეცნიერო ტრადიციას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს თვალსაჩინო ქართველმა მეცნიერ-ეკონომისტებმა აკადემიკოს **პაატა გუგუშვილის** მეთაურობით. ათწლეულების განმავლობაში ინსტიტუტი იყო საქართველოში ეკონომიკის დარგში უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების წარმმართველი და სამეცნიერო კადრების აღზრდის კერა.

ამაყი ვარ, რომ ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობა ეკონომიკის ინსტიტუტის კედლებში დაიწყო და ინსტიტუტმა ბევრი რამ ფასეული მომცა ცხოვრებაში.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩინებული მკვლევარისა და სამეცნიერო საქმიანობის უნარიანი ორგანიზატორის – პროფესორ **რამაზ აბესაძის** ხელმძღვანელობით, ჩვენი კოლეგა მეცნიერ თანამშრომლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონდომებით, ინსტიტუტი დღესაც ეფექტიანად ფუნქციონირებს ახლა უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეული. უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანია უკანასკნელი წლების მანძილზე ინსტიტუტის ჩატარებული სამეცნიერო აქტიურობა: საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების რეგულარულად ჩატარება, პერიოდლი რეიტინგული სამეცნიერო ჟურნალის გამოშვება, ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო ნაშრომების კრებულების სისტემატური გამოცემა და ა.შ.

სწორედ საკუთარი საქმისადამი ერთგულებით, პატრიოტიზმით, მაღალი პროფესიული ეთიკით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ინსტიტუტის კოლექტივი ყოველივე ამას ფრიად მოკრძალებული ფინანსური და მატერიალლური რესურსის პირობებში ახერხებს.

გულითადად ვულოცავ ჩემთვის მშობლიურ და საყვარელ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს საიუბილეო თარიღის 75-ე წლისთავს, ახალ წარმატებებს ვუსურვებ მთელ კოლექტივს, მის თითოეულ წევრს ქართული სამეცნიერო-ეკონომიკური საზოგადოებისა და სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ.

ელგუჯა მექვაბიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს წევრი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი,
თსუ-ის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“
მთავარი რედაქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის
თანამშრომელი 1979-1988 წლებში

სახელოვანი კოლექტივის 75 წლის იუბილე

გასული საუკუნის 60-იან წლებიდან ეკონომიკური პროფილის ოთხი ინსტიტუტი ეწეოდა გამოყენებითი და ფუნდამენტური ეკონომიკური პრობლემების კვლევას. მათ შორის, თავისი ისტორიული დანიშნულებით, ფუნქციებითა და მიზნებით გამორჩეული ადგილი ეჭირა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს, რომელიც თვალსაჩინო ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პაატა გუგუშვილის სახელს ატარებს. ინსტიტუტის 75-წლიანი მოღვაწეობა კარგად ასახავს იმ დინამიურ ცვლილებებს, რომელიც მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს ჩვენ საზოგადოებაში და ორიენტირებულია მის პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში, მისი მაღალმეცნიერული და პრაგმატული კვლევების საფუძველი ის ინტელექტუალური პოტენციალია, რომელიც საქართველოში განსაზღვრავს ეკონომიკური მეცნიერების მაჯისცემას. 1944 წელს დაფუძნებული პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ეკონომიკის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულების მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია. ის იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში და თავდაპირველად მას ეწოდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი, ხოლო 2011 წლიდან შეუერთდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ახალი იმპულსები შემატა საუნივერსიტეტო ცხოვრებას. ინსტიტუტის პირველი დირექტორი იყო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, მას ხელმძღვანელობდნენ აღიარებული მეცნიერები, აკადემიკოსები ავთანდილ გუნია და ვლადიმერ პაპავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი წერეთელი. ამჟამად ინსტიტუტის თავკაცი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძეა, რომელმაც ახალ სიმაღლეზე აიყვანა ინსტიტუტის სამეცნიერო და ორგანიზაციული საქმიანობა. ამის უტყუარი დასტურია სადისკუსიო დარბაზისა და გამომცემლობის საქმიანობა, მაღალრეიტინგული ჟურნალი „ეკონომისტი“, ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ყოველწლიური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და სხვა.

ძნელბედობის ჟამს ინსტიტუტის სახელოვანი კოლექტივი ენთუზიაზმით უმკლავდებოდა იმ პრობლემებს, რომლებიც მის წინაშე იდგა. ამ დუხჭირი პრობლემების მიუხედავად ის ერთგუ-

ლად ემსახურებოდა მთავარ ამოცანას – ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური წინსვლის ხელშეწყობას.

ინსტიტუტის სახელოვან კოლექტივს, მის თითოეულ წევრს მინდა მოგილოცოთ 75 წლის იუბილე, გისურვოთ წარმატებული სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა, ჩვენი ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

თეიმურაზ შენგელია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი,
პროფესორი. კათედრის ხელმძღვანელი.

მილოცვა

მიმდინარე წელი, ჩვენთვის, პაატა გუგუშვილის სახელობისეკონომიკის ინსტიტუტის ყოფილი ასპირანტებისა და ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის ორმაგად საიუბილეოა. ჩვენს ინსტიტუტს 75, ხოლო ინსტიტუტის მიერ დაფუძნებულ ჟურნალ „ეკონომისტს“ 10 წელი უსრულდება.

ინსტიტუტი, რომლის სამეცნიერო საბჭოს პირველი წევრები იყვნენ ქართული მეცნიერების (და არა მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების) ლეგენდები: პაატა გუგუშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო კეცხოველი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გეხტმანი, გიორგი ქოიავა, იოსებ ბაჯაძე, ნიკოლოზ იაშვილი, ლუარსაბ კარბელაშვილი, ირაკლი მიქელაძე და სხვები, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, 1944 წელს დაფუძნდა და იმთავითვე ქართული ეკონომიკური აზრის ფორმირების მნიშვნელოვან კერად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში (ძირითადად ეკონომიკის ინსტიტუტის ბაზაზე) მსგავსი ფუნქციის რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაფუძნდა, რომელთაგან სამწუხაროდ დღეს პრაქტიკულად ყველა გაუქმებულია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუ-

შავებაში და დიდი პატივისცემას იმსახურებდა საზოგადოებაში, რაც უდავოდ ინსტიტუტის ხელმძღვანელების დიდი დამსახურებაა. ინსტიტუტს კი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ აკადემიკოსები: პაატა გუგუშვილი, ავთანდილ გუნია, ვლადიმერ (ლადო) პაპავა, პრფესორი გიორგი წერეთელი, ამჟამად მისი დირექტორია პრფესორი რამაზ აბესაძე.

მეც ამ ინსტიტუტის კედლებში ვეზიარე იმ „მტვერს“, რომელმაც სამუდამოდ განსაზღვრა ჩემი, როგორც მეცნიერ-ეკონომისტის მომავალი და მიუხედავად იმისა რა თანამდებობაზე ვმუშაობდი, ვმუშაობ ან მომიწევს მუშაობა, თავს ყოველთვის ბედნიერად და ამაყად მივიჩნევ, რომ ისეთ ადამიანებთან მომიწია მუშაობა, დისერტაციის დაცვა, კონფერენციებზე გამოსვლა, რომლებიც დღესაც, მიუხედავად ბევრი პრობლემისა, ერთგულად ემსახურება უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს და იმ იდეას და მიზანს, რომელსაც ქართული ეკონომიკური სასწაული უნდა დავარქვათ.

მადლობა თქვენ ამისათვის!

ინსტიტუტის ისტორია დღესაც იწერება. ინსტიტუტის თანამშრომლები და აღზრდილები აქტიურად მონაწილეობენ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და აღსრულების პროცესში. თუმცა ინსტიტუტს უფრო დიდი მისია აქვს. სამწუხაროდ, იმ ფონზე როდესაც იგი, რეალურად ინსტიტუციური ოპონენტის გარეშეა დარჩენილი, მთავრობის ეკონომიკური გუნდისა და პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტების მიერ მიღებული და, უმჯობესია, მისაღები გადაწყვეტილებების მეცნიერულად დასაბუთებული ოპონირება სწორედ ინსტიტუტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა უნდა ითავოს. დღეს, სამწუხაროდ, ეკონომიკურ პოლიტიკაზე ბევრი (თუ ყველა არა) საუბრობს, განსხვავებული აზრი ისმის, მაგრამ ძალიან ფერმკრთალია მეცნიერული კამათი. შედეგიც სახეზე გვაქვს, თითქოს მოჯადოებულ წრეზე დავდივართ. არადა რესურსი აშკარად არსებობს და არსებობს ძალიან მაღალი დონის, ერუდირებული, განათლებული ჯგუფი ეკონომისტებისა, რომლებიც მხოლოდ ინსტიტუციურ მხარდაჭერას საჭიროებენ. ინსტიტუტში არსებული სადისკუსიო დარბაზი, ფინანსური რესურსის სიმწირის მიუხედავად ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და ასევე იუბილარი ჟურნალი

„ეკონომისტი“, ასეთი მხარდაჭერის ჩანასახად უნდა მივიჩნიოთ და ვისურვოთ უფრო მეტად ხმამაღალი, თამამი განცხადებები, ალტერნატიული პროგრამული დოკუმენტები, ჯანსაღი, არაპოპულისტური, პოლიტიკური ტვირთისაგან თავისუფალი კამათი. ეკონომიკურ პოლიტიკაზე საკამათო თემები კი არასოდეს გამოილევა.

მე სწორედ ასეთად წარმომიდგენია ჩვენი ინსტიტუტის და მისი ჟურნალის მომავალი.

მსურს მივულოცო ინსტიტუტის და ჟურნალის ყველა გულშემატკივარს საიუბილეო თარიღები.

წინ დიდი გამარჯვებები გველოდება!

ნოდარ ხადური

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის ყოფილი ასპირანტი,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი,
საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი იუბილარია

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს ვულოცავ დაარსებიდან 75-ე წლისთავს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი დაარსდა მეორე მსოფლიო ომის წლებში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1944 წელს. ეკონომიკის ინსტიტუტის შექმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ეკომიკური მეცნიერების

განვითარებისა, ეკონომიკური აზროვნების კულტურის ამაღლებისა და ამ სფეროში სამეცნიერო კადრების აღზრდისათვის.

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტთან არის დაკავშირებბული ჩემიცხოვრების საუკეთესო წლები. ჯერ კიდევ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში აწ გარდაცვლილმა (შემდგომში ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელმა) პროფესორმა ვალერიან დათუკიშვილმა, მირჩია სწავლა გამეგრძელებინა ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1982 წელს ჩავირიცხე, რაც ზოგადად ძალიან საამაყო იყო, რადგან მოღვაწეობა მომიწია ისეთი ადამინების გვერდით, რომლებთან არათუ მუშაობა, არამედ, უბრალოდ, ცნობადობაც კი ძალიანმნიშვნელოვანი და წამახალისებელი იყო ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა მეცნიერისთვის, რადგან ინსტიტუტში მოღვაწე ლექტორები ეკონომიკის კორიფეები იყვნენ. ასპირანტურაში სწავლის დროს ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ავთანდილ გუნია, თუმცა სამეცნიერო საბჭოს ხშირად ესწრებოდა ბატონი პაატა გუგუშვილი. მე მომიწია ისეთი შესანიშნავი მეცნიერების გვერდით მუშაობა, როგორებიც იყვნენ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: ლეო ჩიქავა (რომელმაც შემდგომში გამიწია რეკომენდაცია გავმხდარიყავი საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი), თამაზ ჩიკვაიძე, არჩილ თეთრაული, ეკონომიკის დოქტორები: რევაზ ჯავახიშვილი, ნანული არევაძე, ვალენტინა მიშინა და უამრავი სხვ. ინსტიტუტის წიაღში აღიზარდა მთელი თაობა, რომლებიც მაღალ საპასუხისმდებლო მუშაობდნენ სხვადადხვა სფეროში: ჩემი მეგობარი ზურაბ სოსელია (უდროოდ გარდაცვლილი), რომან ხარბედია, გია თოფურია, მარინა მუჩიაშვილი და ა.შ..

თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა არაერთგზის განიცადა ცვლილებები. ამ ინსტიტუტის ყველა დირექტორი პირდაპირ თუ ირიბად ცდილობდა წაეხალისებინა და ხელი შეეწყო ახალგაზრდა მეცნიერებისთვის წარმატების მიღწევაში. ინსტიტუტს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორი გიორგიწერეთელი. დღეს ამ ტრადიციებს აგრძელებს ბატონი რამაზაბესაძე, რომელსაც მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მრავალ სხვა ღონისძიებებთან ერთად, იმ სამეცნიერო კონფერენციებისათვის,

რომლებსაც უძღვნის ინსტიტუტის ცნობილ მეცნიერთა საიუბილეო თარიღებს, რითაც ახალგაზრდა მეცნიერებს აძლევს მოტივაციას, გააღრმავონ თავიანთი ცოდნა.

ინსტიტუტის თანამშრომლები თავიანთ ძირითად სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, ქმნიდნენ ამაღლებულ ადამიანურ ურთიერთობებზე დამყარებულ გარემოს და ეს ურთიერთობები დღესაც მაკავშირებს მათთან, თითოეულ მათგანს დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს მეცნიერულ კარიერაში. ინსტიტუტს მუდამ ჰქონდა და აქვს მჭიდრო კავშირი ქვეყნის და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან. ინსტიტუტის დაარსებიდან დღემდე არაერთმა მეცნიერ თანამშრომელმა გამოიჩინა თავი სამეცნიერო მოღვაწეობით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩემთვის უდიდესი პატივია ეკონომიკური მეცნიერების დარგში პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭება ჩემს კოლეგა, ზურაბ გარაყანიძისთან ერთად. ვულოცავ მას, ჩემს უახლოეს მეგობარს, ამ დიდ წარმატებას. ჩემთვის ნამდვილად არ არსებობს ამაზე დიდი ჯილდო, რომელიც მეკუთვნის არამარტო მე, არამედ ყველას, ვინც ყოველთვის გვერდში მედგა ჩემს სამეცნიერო მოღვაწეობაში.

კიდევ ერთხელ ვულოცავ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 75 წლისთავს და ვუსურვებ მის მიერ განვლილი სახელოვანი გზის ღირსეულად გაგრძელებას.

სოლომონ პავლიაშვილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილე,
ემდ, პროფესორი. პაატა გუგუშვილის სახელობის
სამეცნიერო პრემიის ლაურეატი

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი – 75

სულითა და გულით ვულოცავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს ინსტიტუტის დაარსებიდან საიუბილეო 75-ე წლისთავს.

1944 წელს პაატა გუგუშვილის ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაფუძნდა ეკონომიკის ინსტიტუტი და აგერ უკვე 75 წელია მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

ეკონომიკის ინსტიტუტის დამფუძნებლის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დიდი ერუდიციის შედეგია, რომ ამ ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნდა ეკონომიკური დარგის და მეცნიერების სხვა დარგების მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტები.

ვფიქრობ მეცნიერთა საზოგადოებამ დააფასა ინსტიტუტის „ღვაწლი“ ქვეყნის წინაშე, რასაც ვერ ვიტყვით სახელმწიფოზე. 1991 წელს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით და ეკონომიკური საზოგადოების მხარდაჭერით ამ ინსტიტუტს მიენიჭა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელი.

1990-იანი წლებიდან ქვეყანაში არსებული სიდუხჭირის, განუკითხაობის, ძალადობისა და უსამართლობის პირობებში სახელმწიფომ რეფორმის პროცესში, მიატოვა მეცნიერება და იგი ბედისანაბარა დატოვა.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთ მძიმე ვითარებაში, მათზე დაკისრებული მისია, სხვადასხვა წლებში ინსტიტუტის დირექტორების: აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, ნაადრევად გარდაცვლილი პროფესორ გიორგი წერეთლის და დღევანდელი დირექტორის პროფესორ რამაზ აბესაძის ხელმძღვანელობით, შეძლეს და შეინარჩუნეს ინსტიტუტის მეცნიერული სახე. მიზერული ხელფასისა პირობებში, კოლექტივი დიდი სიყვარულით და პასუხისმგებლობის გრძნობით, დაუღალავად აგრძელებს წარმატებულ მეცნიერულ მოღვაწეობას.

ქართული ეკონომიკური მეცნიერული აზრის განვითარებას

ემსახურება პერიოდული გამოცემები და რეცენზირებადი, საერთაშორისო, სამეცნიერო-ანალიტიკური, ელექტრონული (ვებ-გვერდი – www.ekonomisti.tsu.ge) და ბეჭდური (www.pgie.tsu.ge) საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, რომელიც ინდექსირებულია ელექტრონულ ბაზაში ERIH PLUS, ასევე „თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“ (www.pgie.tsu.ge/index.php?menuid=32&lang=1). სტატიების შინაარსი თავისი ნოვაციით უტოლდება უცხოეთში გამოცემულ რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს. მისასალმებელია ის, რომ ინსტიტუტის თანამშრომელთა კერძოდ, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, პროფესორი რამაზ აბესაძისა და სხვათა სტატიები საერთაშორისო იმფაქტ-ფაქტორის დონის და რეფერირებად ჟურნალებშია გამოქვეყნებული.

ინსტიტუტის ტრადიციად იქცა ყოველწლიური საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების ღირსებას ზრდის ის ფაქტი, რომ საერთაშორისო კონფერენციები ხშირად ეძღვნება ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ხსოვნას.

მნიშვნელოვანია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის“ (მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე) გამოცემის თაობაზე.

აღსანიშნავია ინსტიტუტში არსებული სადისკუსიო დარბაზი, რომელიც გამიზნულია ახალი ეკონომიკური აზრის განვითარებისათვის და შეიძლება მას ეკონომიკური აზრის კრეატიული სამჭედლო ვუწოდოთ. შეუძლებელია არ აღინიშნოს პროფესორ რამაზ აბესაძის დიდი ღვაწლი პაატა გუგუშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის დაფასების საქმეში. სწორედ მისი ინიციატივით დაარსდა პაატა გუგუშვილის პრემია და მისი სახელობის კაბინეტი, არაერთხელ აღიონიშნა დაბადებიდან საიუბილეო თარიღერბი და სხვ.

ინსტიტუტის ისტორიის მანძილზე დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს სწორად დაგეგმილი მიზანმიმართული მუშაობის შედეგად ინსტიტუტი აღიარებულია როგორც ქვეყანაში, ისე საერთაშორისო დონეზე. როგორც ეკონომიკური, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთა მიერ. ინსტიტუტის წარმატებული მეცნიერული

მუშაობის აღიარებად უნდა მივიჩნიოთ ინსტიტუტის ცალკეულ თანამშრომელთა მიერ მიღებული სახელმწიფო და სამეცნიერო ჯილდოები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და აწ გარდაცვლილი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის პროფესორ გიორგი წერეთლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა.

სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტსა და დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერებს შორის თანამშრომლობა დღემდე გრძელდება და ვიმედოვნებთ, შემდგომშიც გაგრძელდება მეცნიერული, კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობები. მეცნიერების დიდი სიყვარულის გამოვლენის და თაყვანისცემის ნიშანია ერთობ მძიმე ვითარებაში მყოფი, დასახურად გამიზნული დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტისთვის, ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ რ. აბესაძის, სამეცნიერო საბჭოსა და თანამშრომელთა მიერ დასახმარებლად გაწვდილი ხელი.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ რამაზ აბესაძეს, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს იუბილეს და ვუსურვებ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და მეცნიერულ მოღვაწეობაში. გვჯერა, რომ ისინი ქართული მეცნიერების სასახელოდ გააღრმავებენ მეცნიერულ კვლევას ქვეყნის სასიკეთოდ.

ავთანდილ სულაბერიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის
დირექტორი, ემდ, პროფესორი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი 75 წლისაა!

გულწრფელად ვულოცავ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 75 წლის იუბილეს და ვუსურვებ შემდგომ საერთაშორისო მნიშვნელობის შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ერის და კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ინსტიტუტის შექმნაში და განვითარებაში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ფასდაუდებელი წვლილის შემდეგ, უდავოდ უნდა აღინიშნოს აკადემიკოსების **ავთანდილ გუნიასა და ვლადიმერ (ლადო) პაპავას**, როგორც ინსტიტუტის დირექტორების, განსაკუთრებული წვლილი ინსტიტუტის შემოქმედებით წინსვლაში, რომელიც ღირსეულად გააგრძელა პროფესორმა **გიორგი წერეთელმა** და რომელსაც ამჟამად ღირსეულად აგრძელებს პროფესორი **რამაზ აბესაძე.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, ქვეყანაში ადრე შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდა ინსტიტუტის გადასარჩენად, ახლა კი მისი საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში ჩართვის მიმართულებით: ყოველწლიურად ატარებს მაღალი დონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს ცნობილი უცხოელი მეცნიერების აქტიური მონაწილეობით, გამოსცემს საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკურ ჟურნალ „ეკონომისტს“, რომელიც ინდექსირებულია ERIH PLUS-ში და მრავალი სხვა.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ ვულოცავ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 75 წლის იუბილეს და ვუსურვებ შემდგომ საერთაშორისო მნიშვნელობის წარმატებებს მეცნიერული შემოქმედების გზაზე.

ალფრედ კურატაშვილი

ემდ, პროფესორი, ეკონომიკური
თეორიის განყოფილების გამგე

მილოცვა

ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები მისი არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ.

უკანასკნელ პერიოდში მთელ მსოფლიოში იზრდება იმის გაგება, რომ საჭიროა არსებული ეკონომიკური სისტემის სიღრმისეული რეფორმირება. ამის საჭიროება დაკავშირებულია გარემოს დაბიძურებისა და კლიმატის ცვლილების, არაგანახლებადი რესურსების ამოწურვის, ნარჩენების დაგროვებისა და სხვა საფრთხეების ნეიტრალიზაციის აუცილებლობასთან. ამიტომ მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში, თანდათანობით ხდება ალტერნატიული ეკონომიკების ფორმირება: ინოვაციური ეკონომიკის, ცოდნის ეკონომიკის, მწვანე ეკონომიკის, წრიული ეკონომიკის და სხვა. მაგრამ, ეკონომიკის რეფორმირება არა ყოველთვის მიმდინარეობს სწორად და წარმატებულად. ამიტომ იმისათვის, რომ საქართველოში ეკონომიკის რეფორმირება წაიმართოს სწორედ და წარმატებულად, საჭიროა ამ საქმეში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოკვლევა.

ჩვენი დირექტორის პროფესორ რამაზ აბესაძის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან შეამჩნია ეკონომიკის რეფორმირების მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები და შეიმუშავა ინსტიტუტისათვის შვიდწლიანი გეგმა „ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის პრობლემები საქართველოში“. ინსტიტუტის თანამშრომლები უკვე ხუთი წელიწადი წარმატებით და ნაყოფიერად ასრულებენ ამ მრავალასპექტიან თემას.

ამიტომ, ვულოცავ რა მათ ინსტიტუტის დაარსების იუბილეს, მე ვუსურვებ დირექტორსა და მთელ კოლექტივს ამ თემის წარმატებით დასრულებას იმ მიზნით, რომ კვლევის შედეგები მოემსახურონ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის წარმატებით რეფორმირების საქმეს, განვითარებული ქვეყნების წარმატებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ინსტიტუტის კოლექტივს ასევე ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს ეკონომიკური მეცნიერების განვითარების გზაზე.

ვახტანგ ბურდული

ემდ, მთავარი მეცნიერთანამშრომელი, სექტორული და
რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგე

მილოცვა

წელს საქართველოს მთელი სამეცნიერო და ეკონომიკური საზოგადოება აღნიშნავს ღირსშესანიშნავ თარიღს – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 75-ე წლისთავს.

გამოჩენილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ, დაარსების დღიდან მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ინსტიტუტი უცვლელად იდგა ეკონომიკური აზროვნების მოწინავე პოზიციებზე და ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც ინსტიტუტს ყოველთვის ხელმძღვანელობდნენ ისეთი უზადო მეცნიერები, როგორიც იყვნენ აკადემიკოსები: ა. გუნია და ვლ. პაპავა, პროფესორები: გ. წერეთელი და რ. აბესაძე, რომლებიც არა მხოლოდ აგრძელებდნენ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაწყებულ საქმეს, არამედ მათ არსებითად გაამყარეს ინსტიტუტის პოზიციები და მნიშვნელობა სამეცნიერო წრეებში. სხვადასხვა პერიოდში ინსტიტუტის კოლექტივის წევრები იყვნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიცაა ფ. გოგიჩაიშვილი, ვ. ჩანტლაძე, ი. ბაჯაძე, ვ. მელქაძე, ვ. პაპავა, ნ. ხურციძე, ლ. ჩიქავა, ვ. დათუკიშვილი, თ. ჩიკვაიძე, ი. ასათიანი, გ. პაპავა, ზ. სოსელია, თ. ჩხეიძე, ნ. არევაძე, მ. ჯიბუტი, ე. მექვაბიშვილი, თ. ბერიძე, მ. თოქმაზიშვილი, უ. სამადაშვილი და სხვ. ინსტიტუტის თანამშრომლებს თავიანთი შრომით მუდმივად შეჰქონდათ მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში და ქვეყნის საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

ეს დიდებული ტრადიცია დღესაც გრძელდება. თანამედროვე ეტაპზე პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი მოწინავე პოზიციებზე გამოდის სამეცნიერო საზოგადოებაში პროფ. რამაზ აბესაძის ხელმძღვანელობით და მისი თანამშრომლების ვ. პაპავას, ა. კურატაშვილის, ვ. ბურდულის, ზ. წერეთლის, მ. კვარაცხელიას, რ. ჯავახიშვილის, მ. ხუსკივაძის, ლ. დათუნაშვილის, თ. ლაზარაშვილის და სხვების აქტიური მონაწილეობით. კერძოდ, ინსტიტუტი ჩართულია სამეცნიერო და გამოყენებითი ხასიათის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში, მისი თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო და ეროვნულ პროექტებსა და სიმპოზიუმებში. მსოფლიო აღიარება მოიპოვა აკადემიკოს ვლ. პაპავას შრომებ-

მა დაბეგვრისა და ეკონომიკის ტრანსფორმაციის პრობლემების დარგში. ბოლო 10 წლის განმავლობაში ინსტიტუტის ეგიდით გამოიცემა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზესში ინდექსირებული ავტორიტეტული სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომისტი“. ამ ჟურნალის გამოცემა და აგრეთვე ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული რეგულარული საერთაშორისო კონფერენციები ქმნის ქმედით პლატფორმას საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის, სამეცნიერო კვლევების შედეგების მიღწევებისა და ინტერნაციონა¬ლიზაციისათვის.

მშობლიური ინსტიტუტს და მის კოლექტივს, რომელსაც უკავშირდება ჩემი 30-წლიანი პროფესიული საქმიანობა, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მინდა ვუსურვო შემდგომი წარმატებები და ახალ-ახალი მიღწევები ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში.

გიორგი ბერულავა

ემდ, პროფესორი, ბიზნესის პრობლემათა
კვლევის განყოფილების გამგე

მისალმება

ჩემს მშობლიურ ინსტიტუტს დაარსებიდან 75 წელი შეუსრულდა. რაოდენ გასახარი და საამაყოა რომ, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი სხვადასხვა პერიოდში, მის წინაშე მდგარი სიძნელეებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, ყოველთვის გაძლიერებული გამოდიოდა ამ პერიპეტიებიდან და, დაარსებიდან დღემდე, ყოველთვის წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური მეცნიერების ფლაგმანს.

ინსტიტუტმა, მისი დამაარსებლის და 32 წელი ინსტიტუტის უცვლელი დირექტორის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის, ხელმძღვანელობით დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. ამ საქმეში დიდი იყო ინსტიტუტის დირექტორების, აკადემიკოს ავთანდილ გუნიას, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და ემდ, პროფესორ გიორგი ნე-

რეთლის ღვაწლი, რომლის ხელმძღვანელობით ინსტიტუტს იმ ძნელბედობის ჟამს, გასული საუკუნის ბოლოს, როდესაც ქვეყანას ძალიან უჭირდა, არ შეუწყვეტია აქტიური სამეცნიერო საქმიანობა.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის დიდი მუშაობა, რომელსაც ინსტიტუტის კოლექტივი ინსტიტუტის დირექტორის, ემდ, პროფ. რამაზ აბესაძის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს. ინსტიტუტში გამოიცემა სამეცნიერო შრომების კრებული, ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და ინტერნეტკონფერენციები; ქვეყნდება კენფერენციების მასალათა კრებულები, რომელშიც ქვეყნის ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებენ უმაღლესი სასწავლებლებლებისა და უნივერსიტეტების წარმატებული ბაკალავრები, მაგისტრანტები და დოქტორანტები, რომელთა აქტიური სამეცნიერო საქმიანობა ახლო მომავალში დადებითად უნდა წაადგეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჟურნალი „ეკონომისტი“, რომელმაც ახალი სიცოცხლე შეიძინა 2009 წლიდან, როდესაც მისი პირველი ნომერი გამოვიდა. სულ გამოვიდა 50-ზე მეტი ნომერი. ჟურნალში ქვეყნდება როგორც გამოჩენილი ქართველი, ისე ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერ-ეკონომისტთა სამეცნიერო სტატიები. ჟურნალმა თავისი მეცნიერული პროდუქციით მაღალი რეიტინგი დაიმსახურა და 2016 წლიდან იგი ინდექსირებულია საძიებო ბაზაში ERIH PLUS. ინსტიტუტში ტარდება სიმპოზიუმები, რომელიც იმართება ინსტიტუტის დამსახურებული თანამშრომლების იუბილეების აღსანიშნავად, ასევე აწ გარდაცვლილი თანამშრომლების მოსაგონებლად.

დასასრულ, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავ ინსტიტუტის დირექციას, ყველა თანამშრომელს, მთელ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას, მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 75-ე წლისთავს და ვისურვებდი, რომ დიდი წარმატებები ყოფილიყოს როგორც ინსტიტუტის, ისე მისი ხელმძღვანელობისა და თითოეული თანამშრომლის ცხოვრების მეგზური.

ლინა დათუნაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი

სახელოვანი იუბილარები

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან 75 და ამავე ინსტიტუტის ჟურნალ „ეკონომისტს“ გამოცემიდან 10 წელი შეუსრულდა. ეკონომიკური კვლევა-ძიებისა და ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების სფეროში სწორედ რომ საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსება, რომლის სათავეებთან იდგნენ დიდი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეთაურობით. ამ მოვლენამ შემდგომში მყარი საფუძველი შეუქმნა საქართველოში ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკური მეცნიერების ცალკეული დარგების სწრაფი ტემპებით შექმნასა და განვითარებას.

ინსტიტუტმა, თავისი არსებბის მანძილზე, დიდი და ღრმა შინაარსიანი მეცნიერული ცხოვრების გზა განვლო. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცალკეული ეტაპების შესაბამისად, იგი წარმატებით ართმევდა თავს ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მეცნიერულ შესწავლას, კვლევის შედეგების პუბლიკაციას, მათი პრაქტიკული რეალიზაციისა და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების დიდსა და საპატიო საქმეს. სწორედ ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და მის მიერ მომზადებული მაღალკვალიფიციური კადრების ხარჯზე შეიქმნა ქვეყანაში მეცნიერული კვლევა-ძიების არაერთი დაწესებულება. ინსტიტუტში აღიზარდა მეცნიერ-ეკონომისტთა და იურისტთა თაობები, რომლებიც წარმატებით საქმიანობდნენ და ამჟამადაც განაგრძობენ მუშაობას არა მხოლოდ ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ ეკონომიკის, სამართალდამცავი და საკანონმდებლო სფეროების ყველაზე მაღალი რანგის სტრუქტურებში ხელმძღვანელ და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

ეკონომიკის ინსტიტუტის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა მის შემადგენლობებში ქართული სამეცნიერო ეკონომიკური ჟურნალის – „საქართველოს ეკონომისტის“ გამოცემამ, რომლის სულისჩამდგმელი და დიდი ხნის მანძილზე მთავარი რედაქტორ-გამომცემელი იყო აკად. პაატა გუგუშვილი. რაოდენ სასიხარულოა, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ, ინსტი-

ტუტში კვლავ იქნა აღდგენილი ქართული სამეცნიერო ეკონომიკური ჟურნალი, რომელიც 2009 წლიდან ინსტიტუტის გრიფით სისტემატურად გამოდის „ეკონომისტის“ სახელწოდებით ინსტიტუტის დირექტორის პროფ. რ. აბესაძის რედაქტორობით.

ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივს სხვადასხვა ეტაპზე ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერ ეკონომისტები აკად. პ. გუგუშვილი, აკად. ა. გუნია, აკად. ვლ. პაპავა, პროფ. გ. წერეთელი. ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში, დღესაც წარმატებით აგრძელებს თავის საქმიანობას მისი დირექტორის პროფ. რ. აბესაძის ხელმძღვანელობით, ღირსეულად ავითარებს ინსტიტუტში შექმნილ სამეცნიერო კვლევა-ძიების ძირძველ ტრადიციებს, შედარებით მწირი სამეცნიერო კადრებისა და ფინანსური რესურსების პირობებში, აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური თეორიისა და ქვეყნის წინაშე მდგარი მწვავე ეკონომიკური პრობლემების შესწავლა-დამუშავებაში.

სულითა და გულით ვულოცავ ინსტიტუტისა და ჟურნალის შრომით კოლექტივებსა და მათ ხელმძღვანელობას სახელოვან იუბილეს. ვუსურვებ მათ შემდგომ ნაყოფიერ მუშაობასა და ახალ-ახალ წარმატებებს ეკონომიკური მეცნიერების განვითარების, ქვეყნის წინაშე მდგარი მწვავე ეკონომიკური პრობლემების კვლევა-ძიებისა და მისი შედეგების პუბლიკაციისა და პრაქტიკული რეალიზაციის, აგრეთვე, მაღალკვალიფიციური, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების კეთილშობილურ საქმეში.

რევაზ ჯავახიშვილი

ეკონომიკის დოქტორი,
ინსტიტუტის საერთაშორისო ეკონომიკური
ურთიერთობების განყოფმილების ხელმძღვანელი

მოგონება და მილოცვა

1950-ების მეორე ნახევარში და 1960-იან წლების დასაწყისში, წლის თბილ დროს, თვეში ერთხელ მაინც ინსტიტუტის თანამშრომლები ქალაქგარეთ ექსკურსია-ექსპედიციებს აწყობდნენ. ამისთვის ინსტიტუტის საექპედიციო, ტენტით გადახურული საბარგო ავტომანქანა „პოლუტორკა“ მაშინ სავსებით კომფორტულ საშუალებად მიიჩნეოდა. „პოლუტორკის“ სატვირთო ძარაში 12-14 ადამიანი ეტეოდა ანუ ინსტიტუტის თანამშრომლების დიდი ნაწილი.

ბევრჯერ ამ ექსკურსიებში მეც მიმიღია მონაწილეობა. როგორც წესი თბილისის ახლო-მახლო, 2-3 საათის მგზავრობის მანძილზე მდებარე ისტორიულ ძეგლებს ეწვეოდნენ. სამხედრო ყაიდის „პოლუტორკა“ საურმე გზებს იოლად სძლევდა და ხშირად უგზოობასაც. ისეთი სოფლების გაგვივლია, სადაც ავტომობილი არც კი ენახათ ან ძალზე იშვიათი სანახავი იყო. ასეთ შორეულ სოფლებში ექსკურსია-ექსპედიცია ნახევარი საათით მაინც ჩერდებოდა, როდესაც მცხოვრებლებშის სამეურნეო და სოციალურ საკითხებზე გამოჰკითხავდნენ.

ფოტოსურათზე ასახულია შემეცნებითი ექსკურსია მცხეთა-არმაზში, 1950-იანების მიწურული

სამიზნე ისტორიულ ძეგლთან (მიტოვებული ეკლესია ან მონასტერი) თითქმის საღამომდე ჩერდებოდნენ ⸗ ათვალიერებდნენ ღირსშესანიშნავობებს, საუბრობდნენ ძეგლის ისტორიაზე. შემდეგ იმართებოდა ძალზე მეგობრული განწყობის „პიკნიკი“ წამოღებული საკვებითა და ღვინითაც. ამასობაში თუ ვინმეს უნდოდა, შეეძლო განმარტოვებით ეკლესიაში შესვლა და უცხო თვალს მოფარებულად ლოცვაც. ქალბატონები როგორც წესი ერთი-ორ სანთელსაც დაანთებდნენ. სადილისას სიმღერასაც იტყოდნენ ⸗ რასაც ბატონი **ვახტანგ კახეთელიძე** თავობდა.

დღეს ამას კორპორატიულ სულისკვეთებას უწოდებენ და ეკონომიკის ინსტიტუტში ეს სულისკვეთება, მეტიც – თანამშრომელთა მეგობრობა მუდმივად შეიმჩნეოდა.

გულითადად ვულოცავ ეკონომიკის ინსტიტუტს დაარსებიდან სახელოვნად განვლილ 75-ე წლისთავს – ვუსურვებ წინსვლას, მომავალ მეცნიერულ წარმატებებს და კორპორტიული სულისკვეთების ტრადიციების გაგრძელებას.

.

ბესარიონ გუგუშვილი

საქართველოს პირველი პრემიერ მინისტრი

მილოცვები უცხოეთიდან

Директору Института Экономики имени Паата Гугушвили
Тбилисского государственного Университета
Имени Иване Джавахишвили
Профессору **Рамазу Абесадзе**

Дорогие коллеги и друзья!

Дирекция и сотрудники Института экономики Российской академии наук сердечно поздравляют вас с прекрасным юбилеем – 75-летием со дня основания вашего Института.

За время своей работы ваш Институт внес огромный вклад в развитие научной экономической мысли Грузии, в становление и развитие системы подгодовки высококвалифицированных кадров, создание научных школ. Исследования и разработки вашего Института всегда были тесно связаны с практическими нуждами национальной экономики Грузии.

Мы уверены, что установившиеся творческие связи между нашими коллективами будут и дальше развиваться, взаимно обогашая нас новыми знаниями.

Дорогие друзья! В этот праздничный день желаем вам творческих успехов в вашей бдагородной деятельности, направленной на процветанние вашей прекрасной страны.

Гринберг Р.С.
Научный
Руководитель
ИЭ РАН

Ленчук Е.Б.
Директор ИЭ РАН

Головнин М.Ю.
Первый зам.
Директора ИЭ РАН

Dear Professor Abesadze,

Dear Colleagues,

Our Congratulations with 75 th anniversary of your Institute and 10th jubilee of scientific-research journal „Ekonomisti."

Really regret very much that have no possibility to be with all of You during this very important and considerable date.

Wish all of You to have productive and useful discussions during the conference and hope very much for development cooperation between our research institutions.

Warm regards,

Joshua Bernstein

Professor of Economics
Vice-president at General International Services (GIS), Inc
New York, NY, USA

ეკონომიკის ინსტიტუტი 75 წლისაა

მეორე მსოფლიო ომის მძვინვარე პერიოდში, 1944 წელს, დიდმა ერისკაცმა, უბადლო პატრიოტმა, მრავალმხრივ განსწავლულმა, მსოფლიო დონის მეცნიერმა, აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა დააარსა საქართველოს ისტორიაში პირველი ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელიც შედიოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში. ბატონი პაატა ინსტიტუტს უცვლელად ხელმძღვანელობდა სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში და შექმნა ქართული ეკონომიკური სამეცნიერო სკოლა. განსაკუთრებული წვლილი ინსტიტუტის წარმატებებში მიუძღვით ასევე მის შემდგომ დირექტორებს აკადემიკოს ავთანდილ გუნიას, აკადემიკოს ვლადიმერ (ლადო) პაპავასა და პროფესორ გიორგი წერეთელს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინა ხელისუფლებამ სხვადასხვა ხრიკებით გააუქმა ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტები და დარჩა მხოლოდ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ამ პირობებში ეკონომიკის ინსტიტუტის გადარჩენა ძირითადად ინსტიტუტის ხელმძღვანელთა, მათ შორის, მისი

დირექტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის, დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მან შეინარჩუნა ძველი ღვაწლმოსილი კადრები და ინსტიტუტის შენობა, აღადგინა ჟურნალ „ეკონომისტისა“ (რომელიც დღეს ერთ-ერთი რეიტინგული ჟურნალია – ინდექსირებულია ERIH PLAS-ში) და „ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის“ გამოცემა, ატარებს საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბატონმა რამაზ აბესაძემ გაპარტახებას გადაარჩინა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის კაბინეტი, და დაუბრუნა პირველადი ფორმა.

აშშ-დან ვულოცავ ეკონომიკის ინსტიტუტის მთელ შემადგენლობას დაარსებიდან 75-ე წლისთავს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს.

დავით კურტანიძე

პროფესორი, ნიუ-იორკში გამომავალი გაზეთის „დავითის ფარის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.
ნიუ-იორკი, 2019 წ.

Директору Института Экономики им. П. Гугушвили
Тбилисского государственного Университета
им. И. Джавахишвили
профессору **Р. Б. Абесадзе**

Уважаемый Рамаз Борисович!

От имени коллектива Финансового университета и от себя лично искренне поздравляю коллектив Институт Экономики имени П. Гугушвили Тбилисского государственного Университета имени И. Джавахишвили с 75-летним Юбилеем со Дня основания и шлю пожелания дальнейших творческих успехов.

Эскиндаров М.А.

Ректор Финансового университета
при Правительстве
Российской Федерации

Директору Института экономики имени Паата Гугушвили
Тбилисского государственного университета
имени Иванэ Джавахишвили
профессору **Рамазу Абесадзе!**

*Уважаемый **Рамаз Абесадзе!***

Уважаемые сотрудники Института экономики имени Паата ГугушвилиТбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили!

От имени Учебно-научного института менеджмента и психологии Государственного высшего учебного заведения «Университет менеджмента образования“ Национальной академии педагогических наук Украины и от себя лично чистосердечно поздравляю Вас ***с Юбилеем по случаю 75-летия со дня основания Института экономики имени Паата Гугушвили!***

За 75 лет Ваш Институт прошел славный путь развития и становления. Из года в год растет его авторитет, как мощного, ведущего, известного в Грузии научного учреждения.

Юбилей – это еще одна приятная возможность отметить высокий профессионализм, инновационные подходы, труд руководства и сотрудников учреждения. На пути становления Института, Вы сохранили и увеличили свой профессиональный потенциал, который изначально был направлен на развитие науки. Ваши знания, опыт, поиск нового и профессионализм являются тем фундаментом, благодаря которому живет и развивается наука, формируется будущее нации, ее сила и честь.

Желаем Вам, уважаемый Рамаз Абесадзе и всему коллективу Института экономики имени Паата Гугушвили крепкого здоровья, творческого вдохновения, жизненной энергии, научного долголетия, новых достижений и профессиональных свершений.

Ваш талант, самоотверженный упорный труд и верность избранному делу станут надежной основой для укрепления авторитета науки, повышения результативности фундаментальных и при-

кладных исследований, привлечения молодых ученых, что позволит укрепить страну!

С глубоким уважением

Елена Алейникова

Директор Учебно-научного института
менеджмента и психологии ГВУЗ
«Университет менеджмента образования»,
доктор наук по государственному управлению, профессор

Dear Professor Abesadze,

Our congratulations on the 75 th anniversary of your Institute.

So sorry that cannot join to all of You in June 21-22, but sure that it will be a very interesting and productive conference.

Looking forward to cooperate with all of You in the future.

All the best,

Peter Klein

Professor
Baylor University Texas, USA

Dear Professor Abesadze,

Dear Colleagues,

Our congratulations with 75th anniversary of your Institute and 10th jubilee of scientific-analytical journal “Ekonomisti”. Wish you to have an interesting and fruitful event in June 21-22, 2019.

Yours sincerely,

Thomas Hazlett

Professor of Economics lemson University, USA

Dear Professor Abesadze,

I'm happy to congratulate you as so as all scientists and staff at Institute of Economics by Paata Gugushvili

with 75 th anniversary of your research institution.

Sure that you will be able to organize a very interesting and important conference and other events in June 21-22, 2019.

Best regards

Francesco Aiello

Professor of Economics
Calabria University, Italy

Dear Professor Abesadze,

I wish congratulate You with celebration of 75 th anniversary of your Institute.

Hope very much that we will be able to organize useful and productive cooperation in the future.

Yours sincerely,

Fred Gault

Professor at United Nations University
Mastricht, the Netherlands

სარჩევი

სახელოვანი 75 წელი 3

პაატა გუგუშვილი 22

ავთანდილ გუნია 25

ვლადიმერ პაპავა 27

გიორგი წერეთელი 30

რამაზ აბესაძე 33

რამაზ აბესაძე 45

PAATA GUGUSHVILI INSTITUTEOF ECONOMICS — 75 46

ИНСТИТУТ ЭКОНОМИКИ ИМИНИ ПААТА ГУГУШВИЛИ — 75 50

მილოცვები 55

გიორგი შარვაშიძე 56
გიორგი კვესიტაძე 57
ნუნუ ოვსიანიკოვა 58
როინ მეტრეველი 60
ნინო ოკრიბელაშვილი 61
ვლადიმერ (ლადო) პაპავა 63
ავთანდილ სილაგაძე 64
ნოდარ ჭითანავა 66
გიორგი ღაღანიძე 67
ელგუჯა მექვაბიშვილი 68
თეიმურაზ შენგელია 70
ნოდარ ხადური 72
სოლომონ პავლიაშვილი 74
ავთანდილ სულაბერიძე 77
ალფრედ კურატაშვილი 78
ვახტანგ ბურდული 79
გიორგი ბერულავა 81
ლინა დათუნაშვილი 82

რევაზ ჯავახიშვილი	84
ბესარიონ გუგუშვილი	86
მილოცვები უცხოეთიდან	87
Гринберг Р. С., Ленчук Е.Б., Головнин М.Ю.	89
Joshua Bernstein	90
დავით კურტანიძე	91
Эскиндаров М.А.	91
Елена Алейникова	93
Peter Klein	93
Thomas Hazlett	93
Francesco Aiello	94
Fred Gault	94